

კავკასიის

ქალაქი

КАВКАЗСКИМ  
ГОРОДЪ

უასი ნომრისა 6 მან.

Цѣна номера 6 руб.

№ 7—8.

თბილისი  
ТИФЛИСЪ

15 მაისი 1919 წ.  
мая г.



# კავკასიის ქალბები

ორკვირეული გამოცემა თვითმართველობათა კითხვების შესახებ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სომხის ბაზარი, № 6.  
ქალაქთა კავშირი, ტელეფ. 7-31.

ხელის მოწერის პირობანი: ერთი წლით—60 მან., ექვსი თვით—35 მან., სამი თვით—15 მ., ერთი ნომერი ტფილისში—3 მ. სხვა ქალაქებში—3 მ. 50 კ. მისამართის გამოკვლა—50 კ. განცხადებების ფასი: პეტიტის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—1 მ. 50 კ. ვინც ქალაქთა თვითმართველობებში ალაგს ეძებს მათ გადახდებათ ნახევარი.

## „Кавказский Городъ“

Органъ Главнаго Комитета Союза Городовъ Республики Грузинъ.

Двухнедѣльное издание по вопросамъ муниципальной жизни.

Адресъ редакцiи и Конторы: Тифлисъ, Армянскiй Базаръ, 6.  
Союзъ Городовъ. Телефонъ 7—31.

**Условiя подписки:** на 1 годъ—**60 руб.**, на 6 мѣсяц.—**35 руб.**, на 3 мѣсяц.—**15 руб.** За перемѣну адреса—**50 коп.** Цѣна отдѣльнаго номера: въ Тифлисъ—**3 руб.**, въ другихъ городахъ **3 руб. 50 коп.** Плата за объявленiя: за строку петита позади текста—**1 руб. 50 коп.** Для лицъ, ищущихъ труда въ городскихъ Управленiяхъ, въ половинномъ размѣрѣ.

При сношенiяхъ съ редакцiей просятъ прилагать свой точный адресъ. Приемъ редакторомъ ежедневно, кромѣ праздниковъ, отъ 1 до 3 ч. дня.

# კავკასიის ქალაქი

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მხაეარი კომიტეტის

ორგანო

არკვერეულა გამტემა თვითმართველობათა კითხვების შესახებ.

# КАВКАЗСКИЙ ГОРОДЪ

Органъ Главнаго Комитета Союза Городовъ Республики Грузинъ.

Двухнедѣльное издание по вопросамъ муниципальной жизни.

№ 7-8.

თბილისი  
Тифлиზ

15 მაისი 1919 წ.  
мая



## შ ი ნ ა ა რ ს ი :

### შ ა რ თ უ ლ ა დ :

- 1) ტ. მარგველაშვილი—სათვითმართებლო ერთეულები დასავლეთში.
- 2) ინჟ. ივ. მეძმარიაშვილი—სათბობი მასალის საკითხი ჩვენში.
- 3) პ. კიკალიშვილი—წერილები საქალაქო სანიტარიის შესახებ.
- 4) ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის ოქმები.
- 5) ქრონიკა.

### რ უ ს უ ლ ა დ :

- 1) კ. პანიევი—ახალი საქალაქო დებულების პროექტის შესახებ.
- 2) ე. მაღლისონი—განმარტება მეორე ყრილობის რეზოლუციისა კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ.
- 3) ე. შ.—ახლად წარმოშობილი ქალაქების საკითხი.
- 4) ა. ესენი—წყლის მეურნეობის საჭიროებანი და საწყლო კან.-პროექტი.
- 5) მ. ლიადოვი—აგრარული რეფორმა ქალაქებში.
- 6) ა. გონჩაროვი—ქუთაისის გუბერნიის ქალაქები.
- 7) ქრონიკა.

## С о д е р ж а н и е :

### На грузинскомъ.

Т. Маргвелашвили. Самоуправленія на Западѣ.  
Ив. Медзмаріашвили. Вопросъ топлива въ Грузіи  
П. Кикалишвили. Очерки по городской санитаріи.  
Протоколы засѣданій Глав. Ком. Союза Городовъ.

### Хроника.

### На русскомъ:

Н. Паніевъ. О проектѣ новаго Городоваго Положенія.  
Е. М. Къ вопросу о новообразовавшихся городахъ.  
Е. Маддисонъ. Необходимое разъясненіе къ резолюціи II съѣзда  
о коллективномъ договорѣ.  
А. Эссенъ. Нужды воднаго хозяйства и водное законодательство.  
М. Лядовъ. О распространеніи аграрной реформы на земли въ  
чертѣ города.  
А. Гончаровъ. Города Кутаисской Губерніи.

### Хроника.

## სათვითმართებლო ერთეულები დასავლეთში.

თანამედროვე სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა მთელი თავისი სიმძიმით მხოლოდ საკუთარ აპარატს ვერ დაეყრდნობა. თუ იგი გაცილდა ქალაქ-სახელმწიფოს (Stadt - staat) ფარგლებს, მისი შინაგანი მართველობა, აღებული გეზი სოციალური პოლიტიკისა და ფინანსიური ზომები—მიუტკილვლათ დაეყრდნობა ამა თუ იმ თვითმართველობას: თემს, ქალაქს, მრევლს და სხ. თვითმართველობათაგან გაწეული ხარჯები, განხორციელებული სამოქმედო გეგმები, თავის ფინანსიურ და პოლიტიკურ ღირებულებით ბევრჯელ თვით სახელმწიფოსას უთანაბარდება. ასე რომ, თუ ჩვენ გვინდა ორი სახელმწიფო ერთი - მეორეს შევადაროთ აუცილებლად საჭიროა სახეში მივიღოთ ფინანსიური ძალა და მოღვაწეობა მათში მოქმედ სათვითმართებლო ერთეულებისა, მაშინ მივიღებთ ნამდვილ სურათს და სწორ დასკვნებს. გამოცდილებამ ცხადათ დაამტკიცა, რომ არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია იარსებოს და თავისი მოვალეობანი შეასრულოს თუ მას არ დაენმარებიან თვითმართველობანი. როდესაც სახელმწიფო პირვანდელ საფეხურზე იდგა და გარეშე მტერთაგან დაცვასა და მშვიდობიანობის აღდგენას უნდებოდა მაშინ თემი მის მაგიერობას სწევდა, —ებლა უკანასკნელი ასრულებს და აშინაარსიანებს სახელმწიფოს წყობილებას, თავისთავზე იღებს ადგილობრივ ხასიათის საქმეები, წარმოებას გაუძღვეს ადგილობრივ ცხოვრების მიმდინარე მოვლენებს, ანგარიშს უწევს თვის ფარგლებში მცხოვრებთა განსაკუთრებულ ინტერესებს, რადგან საჭიროა ადგილობრივი პირობების ცოდნა და ადგილობრივი ინტერესებისადმი სათუთათ მოპყრობა. ამგვარათ სახელმწიფოს საერთო მოქმედება, —ხალხის საკეთილდღეოთ მოღვაწეობა—უნდა გადატყდეს თვითმართველობათა ფვალთა ხედვის პრიზმაში და მიღებულ იქმნას თვითმართველობათა განსაკუთრებული ინტერესები. მეორე მხრივ არ შეაძლება გაიმიჯნოს თვითმართველობათა ადგილობრივი მოღვაწეობა მოსახლერე თვითმართველობათაგან: საერთო ინტერესებისა და შემაერთებელ გარემოებათა გამო ისინი ხშირათ იძულებული არიან შეერთდენ რომელიმე ეკონომიურისა თუ პოლიტიკურის მიზნისათვის და საერთო სამოქმედო გეგმის შედგენით ცდილობენ ცხოვრებაში გაატარონ დასახული მიზანი სახელმწიფოს საშვალეებით, ან მისი დახმარებით. საერთოთ, თვითმართველობათა მდგომარეობა სახელმწიფოში, განსხვავება პირველსა და უკანასკნელს შორის, მასში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო თავის ნების ყოფასა, გადაწყვეტილებასა და მოქმედებაში სრულათ დამოუკიდებელია რაიმე მაზე მალალ ერთეულისაგან (თუ მიჩნეული სახელმწიფო არაა წევრი.

სახელმწიფოთა კავშირისა, (Bundesstaat). თვითმართველობა კი წარმოადგენს ერთ-ერთ ხელის მომწყობ დამხმარე ორგანოს სახელმწიფოსათვის. თუმცა, მართალია, თვითმართველობას აქვს იძულებითი ძალა თავის წევრებზე, ყველაზე ვინც მის სათვითმართებლო ფარგლებში ბინადრობს, მაგრამ ეს ძალა მას ეკუთვნის უფლებრივად სახელმწიფოს მიერ. თვითმართველობის მიზნები, საშუალებანი და ვალდებულებანი ვიწროთ შემოფარგლულია, როგორც საგნობრივად ისე ადგილობრივად. კიდევ მეტი, უმთავრესი დარგები თვითმართველობათა მოღვაწეობისა ექვემდებარება სახელმწიფოს ზედამხედველობას. მართლაც თვითმართველობათა მოქმედებაზე ზედამხედველობის, კონტროლის უფლება უკვე de natura ეკუთვნის სახელმწიფოს, რადგან უკანასკნელი შესდგება იმავე კონტინენტისაგან, რომლისაგან თვითმართველობანი და მათი მაღალი ელემენტები. დამახარალებელი, გამფლანგველი მოქმედება რომელიმე სათვითმართებლო ერთეულისა ან მისი რომელიმე ორგანოსი ძალზე დაახარალებს თვით სახელმწიფოს. ამისათვის სახელმწიფო თვისი კონტროლის უფლების ძალით თვალყურს ადევნებს რომ:

1. მისი ფინანსიური მეურნეობის მსვლელობა არ დაირღვეს ან არ დაზიანდეს თვითმართველობის მიერ მიღებულ ფინანსიურ ზომებით, რაც ადვილად მოხდებოდა, რომ თვითმართველობას სრული თავისუფლება მიენიჭოს გადასახადების გაწერაში.

2. თვითმართველობებმა არ მიიღონ ისეთი ფინანსიური ოპერაციები, რომელითაც მცხოვრებთა თუ თვითმართველობის გაღარიბება მოყვება, მაგ. გაყიდვა საკუთრებისა, დიდი ვალების აღება, ანგარიშების უსწოროდ გაძლოლა და სხ.

ამგვარივე თადარიგს იჭერს სახელმწიფო, თვითმართველობათა მიმართ, პოლიტიკურის მიზნით, რომ საყოველთაოდ მოქალაქობრივი წესრიგი და მშვიდობიანობა ნაძალადევათ არ დაირღვეს რაიმე ბოროტი განზრახვით.

თვითმართველობათა მოვალეობანი და მათი სამოქმედო გეგმა ბუნებრივად შემოფარგლულია ადგილობრივი ცხოვრების განსაკუთრებული პირობებით; თუმცა შეუძლებელია განსაზღვრელ ხაზის გავლება სახელმწიფოსა და თვითმართველობათა კითხვების შორის; ძალიან ხშირად ეს უკანასკნელნი ერთი და იგივეა. თვითმართველობათა მიზნები ისეთის ხასიათისანი არიან, რომ ადვილად ისაზღვრება ადგილობრივად, როგორც საგნობრივის ისე ეკონომიური საშუალებათა თვალსაზრისით. ყოველ კერძო შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა, აქვს მიჩნეულ ხალხის აღათს, საჯარო უფლებას, კულტურის სიმაღლეს თვითმართველობათა ორგანიზაციას და ხალხის თვითმართველობისათვის მომზადებას.

ამ მხრივ დასავლეთი ევროპა და ამერიკა ფრიად საყურადღებო მაგალითს გვაძლევს. ისტორიულმა მსვლელობამ სულ სხვა და სხვა გვარი

ტიპი წარმოშვა სათვითმართებლო ერთეულებისა. ჩვენ აქ განვიხილავთ თემურ თვითმართველობათა და მხოლოდ შემდეგ გადავალთ საქალაქო თვითმართველობის დახასიათებაზე. თემური თვითმართველობა შეიძლება იქმნეს სამი ტიპისა: 1) ინგლისური, სრულიათ ბუნებრივით თანდათანობის გზით განვითარებული, 2) ფრანგული, ხელოვნურათ, შექმნილი, ფრიად შეზღუდული ფინანსიურ მეურნეობაში. და 3) გერმანული, „პრუსიულად“ ცნობილი, რომლის ნიშანდობრივი თვისებაა ფართო თავისუფლება შინაგან საქმეებში, თვით გადასახადების გაწერაშიც კი და საზოგადოებრივი თაოსნობაში.

სათვითმართებლო ერთეულების აღწერა-დახასიათებაში ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ მათ ფინანსიურ მხარეს, რაც ჩვენს ეხლანდელ მდგომარეობაში განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს.

## 1. თვითმართველობანი ინგლისში. <sup>1)</sup>

ძირითადი, ნიშანდობლივი თვისება ინგლისის მართვა-გამგეობისა, რომლითაც იგი სავსებით განსხვავდება კონტინენტის სახელმწიფოებისაგან, მდგომარეობს მაში, რომ მას სრულიათ არა აქვს სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის ადგილობრივი დანაწილება. დანაწილება მართველობისა მასრეზით თუ გუბერნიებათ სრულიათ უცნობია ინგლისისათვის. ყოველი ადგილობრივი ხასიათის ფუნქციები სახელმწიფოებრივი მართველობისა, თუნდაც უაღრესად სახელმწიფოებრივი ხასიათისა ეკისრება ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებს საკირო თანხის სახელმწიფო კასიდან მიზღვევით. ეს თვითმართველობანი—self government—წარმოადგენს ყოველგვარ ადგილობრივ მართველობას, რადგან გარეშე ამ უკანასკნელისა—local government—ინგლისში არ არსებობს ადგილობრივი მართვა გამგეობისათვის საკუთრივ მიჩნეულ სახელმწიფო მოხელენი. ამგვარად მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ინგლისური local government არ არის მარტო კომუნალური ე. ი. სათვითმართებლო ერთეული, როგორც ეგ კონტინენტზეა გავრცელებული, არამედ წარმოადგენს მთელს ადგილობრივ მართველობას.

მეორე დამახასიათებელი თვისება თვითმართველობათა ორგანიზაციისა ინგლისში ის არის, რომ ფინანსიური მეურნეობა მჭიდროთ უკავშირდებოდა წმიდა პრაქტიკულ მოთხოვნილებათ, საიდანაც დაიბადა ერთგვარი ნაკლი მთლიანობისა. მთელი მართველობა ამ მიზეზის გამო დანაწილებულია მრავალ განსაკუთრებულ ერთეულებათ. ამ განცალკევებულ

<sup>1)</sup> უმთავრესი წყაროები: O' Meara Municipal taxation at home and abroad. Lord Aveburg On municipal and national trading.

Le roy—Beaulieu L'administration locale en France et en Angleterre. Leroy—Beaulieu Traité des finances Ashley. English local government.



ელემენტების ერთ მთლიან სისტემაში ჩამოსაყალიბებლათ გამოიცა რამოდენიმე კანონი: lokal government act 23 აგვისტოს 1888 წელი და 5 მარტს 1894 წ.; ამის გარდა ამავე მიზანს ემსახურება სწავლა-აღზრდის კანონი 1902 წ. გამოცემული. ინგლისში მოქმედებდა და ნაწილობრივ ეხლაც მოქმედებს შემდგენიანი თვითმართველობანი: 1) მრევლი, ერთსა და იმავე ეკლესიაში შეკრებილი ერთეული (parish); 2) ქალაქი (municipal borough); 3) მრევლისა და ქალაქისაგან შემდგარი სასკოლო ერთეული; 4) მრევლისა და ქალაქისაგან შემდგარი განსაკუთრებული ერთეული ღარიბთა დახმარებისათვის (poor law union); 5) მრევლისაგან ან ქალაქისაგან შემდგარი დისტრიქტი; 6) საგრაფო (county), რომელიც დისტრიქტებისა და ქალაქებისაგან შესდგება; დიდი ქალაქები განსაკუთრებულ საგრაფოს წარმოადგენენ. გარდა დასახელებულისა, არსებობს კიდევ სხვა მრავალი განსაკუთრებულ მიზნისათვის შემდგარი ერთეულები, რომელთა უფლება და მოვალეობა დასახულ მიზნის არის ვიწროთ შემოფარგლული. ინგლისური კანონმდებლობა ცდილობს გაამარტივოს ადგილობრივი თვითმართველობის საქმე და შეაჯგუფოს იგი უფრო მრევლსა—როგორც წვრილ ერთეულში—დისტრიქტსა და საგრაფოში, როგორც საშუალო და მსხვილ ერთეულებში.

ა) მრევლი. ისტორიულად ეს ერთეული წარმოიშვა სიღარიბესთან ბრძოლაში. მეთექვსმეტე საუკუნეში ჰენრი VIII დროს მოხდა საეკლესიო მამულების სეკულარიზაცია, რის გამო ეკლესია-მონასტრებს აღარ ქონდათ საშუალება ღარიბების მოვლისა და ვეღარც თავშესაფრებს უძღვებოდნენ. ამან წარმოშვა ყაჩაღობა, რამაც მიიღო ფართო ხასიათი. ჰენრი VIII-მ გამოსცა ბრძანება რომლის ძალით ქალაქმა და მრევლმა უნდა შეინახოს თავიანთი ღარიბებით. თავისუფალი შეწირულების გამოღებით. ედუარდ VI-ის დროს გამოიცა კანონი, რომლითაც ყოველ სამრევლოში უნდა დანიშნულიყო ერთი კვირა დღე, როდესაც ყოველ წევრს ხელწერილი უნდა მიეცა, რომ ის შემდეგ წელში ყოველ კვირეულათ გაიღებს განსაზღვრულ თანხას ღარიბთა სასარგებლოთ. თუ ვინმე უარს იტყოდა, მასზე გავლენას ახდენდა ჯერ მღვდელი და შემდეგ ეფისკოპოზიც. ელისაბედის დროს ეს „შეწირულებანი“ იძულებითი ხასიათს ღებულობს. უარის მთქმელს უკვე დაპატიმრება მოეღის. ამგვარათ მრევლი შეიქმნა სამეურნეო ერთეული, თავისი შემოსავლით და მართველ ორგანოთი. მრევლს წარმოადგენს ყოველი საბინადრო ადგილი, სადაც (1894 წ. კანონის ძალით) 1891 წ. აღწერილ 300 მეტი მცხოვრებია. აგეთი ადგილი ქმნის სამრევლო საბჭოს. არჩევნები სრულიად თავისუფალია; როგორც პასიური ისე აქტიური უფლება აქვს ყველას, მათ შორის ქალებსაც, რომელნიც ფართოთ სარგებლობენ თავიანთი უფლებით. შემთხვევები იყო, რომ საბჭოს წევრათ აირჩიეს ახალგაზრდა ქალიშვილი.

ყურადღება აქვს მიქცეული რათა სამრევლოს, როგორც წვრილ ერთეულს

თეულს, შეეძლოს გადასახადების გაღება. გარდა ღარბთა დახმარებისა, სამრევლოს საზრუნავი საგანია, გზების შენახვა და გაყვანა, სამარხ დაწესებულებათა შენახვა, ტაძრებზე ზრუნვა, მდინარეების მოვლა, შენახვა და გაწმენდა არხებისა, მილიციის შენახვა, განათება, სახალხო ჯანმრთელობა, ვეტერინარია, ბიბლიოთეკები, მუზეუმები და სხ.

ბ) **დისტრიქტები ანუ ოლქები.** სხვა და სხვა სპეციალურ საჭიროებათა გამო სოფლის სამრევლოები შეერთდნენ კავშირებში (districts) ანუ ოლქებში, რომელთა საზღვრები ძალიან ხშირათ საგრაფოებისასაც სცილდება. მათი ორგანოა საოლქო საბჭო ასეთი ოლქების რაოდენობა უდრიდა მაგ. 1893 წ. 404. კონკრეტულათ სამრევლოები აშენებენ სამუშაო სახლებს, სადაც ღარბები ამუშავებენ სელს; მატყლს და სხ. და სამაგიეროთ მათ ეძლევათ სასმელ-საქმელე, ტანსაცმელი, ბინა. სამრევლოებს ეკისრება ღარბთა ბავშვების სკოლაში გაგზავნა, მათთვის სამუშაოს გაჩენა; ღარბთა დამარხვა და მრავალი სხ. ვალდებულებანი, რომელიც სხვა და სხვა სამრევლოში სულ სხვა და სხვა საზომის შეიძლება იყოს. ბევრ სამრევლოს ნაკლები ღარბები ყავს; ზოგს კი მეტი. ამ უსწორ-მასწორობის გასათავსებასწორებლათ არსდება სამრევლოების კავშირები (unions). ომის წინ ასეთი კავშირების რაოდენობა უდრიდა 648. ფინანსიურ სიმძიმის უფრო სამართლიანათ გასანაწილებლათ ასეთი კავშირების დაარსება ნაჯრნახვივით ვით კანონით 1834 წ.

გ) **საგრაფოები.** უმაღლესი ერთეული საგრაფოა. 1898 წ. კანონხდამთელი ინგლისი დანაწილებულია 62 სათვითმართებლო საგრაფოებად, რომელთა გვერდით დარჩენილია ძველი საგრაფოებიც, მაგრამ მხოლოდ როგორც სასამართლოს რაიონები. განსაკუთრებით სათვითმართებლო საგრაფოს წარმოადგენს ყოველ ცალკე ქალაქიც. 50.000 მცხოვრებით. სამართველო ორგანო არის საგრაფოს საბჭო (county council), ან უკანასკნელის მიერ დანიშნული კომისია. მისი ფუნქცია მრავალნაირია: პოლიტიკურ არჩევნების გაძღოლა, საგრაფოების ექიმთა დანიშვნა, საავადმყოფოების გახსნა და მოვლა, გამასწორებელ დაწესებულებათს შენახვა, სკოლები, გზები, ხიდები, მეჯოგეობისათვის და სახალხო მეურნეობისათვის ყოველგვარი ზრუნვა, რკინის გზის შტოების გაყვანა და მოვლა, უძრავი ქონების შეძენა და სხ. 1888 წ. კანონით საგრაფოს საბჭო შესდგება თავმჯდომარისაგან, მამასახლისისაგან და მრჩეველთაგან—საბჭოს წევრთაგან; წევრობის უფლება აქვს ყველა ამომრჩეველს; არჩევნებში მონაწილეობს ყველა სრულწლოვანი მოქალაქე ორივე სქესისა, თუ უკანასკნელ წლის განმავლობაში საგრაფოს საზღვრებში ბინადრობდა და დაქირავებული მაინც ქონდა რაიმე შენობა minimum 10 ვირ. სტერ. 1887 წ. კანონით (Allotments Act) საგრაფოებს ეძლევა უფლება სამრევლოთა წინადადებით იძულებით შეისყიდოს მიწა ან აიღოს იძულებითი იჯარით 14—35 წლის ვადით. ამ კანონით შესაძლებელი გახდა უმიწა-წყლო მუშების დასახლკარება.

**ფინანსიური მხარე.** ფინანსიურად ინგლისის თვითმართველობანი სრულიად დამოუკიდებელი არიან სახელმწიფოსაგან. ყოველი თვითმართველობა თვითონ აწერს და კრებს კანონით მისდამი კუთვნილ რაოდენობას. გადასახადები თვითმართველობის სასარგებლოთ მრავალ გვარია, მაგრამ უმთავრეს როლს თამაშობს „ლარიბთათვის გადასახადი“, რომელიც ორგანიზაციის მხრივაც ტიპიურია. ეს გადასახადი გაიწერება ყველაზე „შეძლებისა და გვართ“ (ability). ეს უკანასკნელი უნდა განისაზღვრებოდეს საკუთრებით. ასე რომ გადასახადი აწვება: მიწას, შენობას, ტყეს, სავაჭრო-სამრეწველო საქონელს ე. ი. ისეთ საკუთრებას, რომელიც იძლევა რაიმე შემოსავალს. ამგვართ გადასახადისაგან თავისუფალია: ავეჯეულობა, სამკაული და სხ. ნივთები, რომელიც არავითარ შემოსავალს არ იძლევა. მაგრამ ამავე გადასახადისაგან თავისუფალია კაპიტალები ფულის სახით, მიწის რენტა, მოხელეთა ჯამაგირები, პენსიები, მუშის ხელფასი თუ ჰონორარი ინტელიგენტისა და სხ: აქედან ლოლიკურათ გამომდინარეობს უკვე, რომ გადასახადების სუბიექტი ე. ი. ის ვინც მას ფაქტიურად იხდის მესაკუთრე კი არაა, არამედ ვინც საკუთრებით უშუალოთ სარგებლობს: მოიჯარადრე, მდგმური. გამონაკლისს გადასახადისაგან არვინ არ შეადგენს. ვაწაწილება გადასახადისა ეყრდნობა შემოსავლის რაოდენობაზე (value). საგულისხმოა რომ გადასახადი ინგლისში იწერება და იკრიფება მხოლოდ წმიდა შემოსავალზე, ყოველგვარი გასავალის გამოკლებით, (net rental value). ეს ზომა მშვენივრათ იცავს კულტურულ ინტერესებს სახალხო მეურნეობისას, და ზოგავს გადასახადებით ძალზე დაბეგვრისაგან თვით ხალხს. ტენნიკა გადასახადების გაწერისა შემდეგია: სამრეგლოთა კავშირის საბჭო ირჩევს გადასახადების განმანაწილებელ კომიტეტს, რომელსაც ევალება ზედამხედველობა ყოველ კერძო სამრეგლოში მომუშავე პერსონალზე, რომელთაც ევალება წარუდგინონ კომიტეტს ყოველგვარ ხარჯთაკრების ანგარიშები. ხსენებული პერსონალი ადგენს საერთო შეძლების ანუ ქონების სიას და იქვე აღწუსხავეს მის გადასახადით დაბეგრილ წმიდა ნაწილს. ეგ სიები წარუდგება კომიტეტს, სადაც გამოფენილია ყველა დაინტერესებულთათვის ორი კვირის განმავლობაში გადასათვალიერებლათ. ვადის გასვლის შემდეგ შემოსულ განცხადებებთან ერთად სია შემოწმების შემდეგ კომიტეტის მიერ, შეიტანება რაიმე ცვლილებები თუ საჭიროა. ამის შემდეგ სიები უნდა დამტკიცდეს როგორც კანონიერათ შემდგარი ორი მომრიგებელ შუამავლის მიერ და გამოიფინოს საჯაროთ ეკლესიებსა, სკოლებსა თუ მოედნებზე. ამის შემდეგაც კანონით ყოველს დაინტერესებულს ეძლევა ვადა 28 დღე რაიმე უკანონობის გასაჩივრებისათვის. ასეთი ტენნიკა „ლარიბთათვის გადასახადისა“ ვრცელდება ყველა სხვა გადასახადებზე უნდა ითქვას რომ გადასახადი ინგლისში უმეტეს ნაწილათ ეხლაც მიზნობრივია ე. ი. ყოველ განსაკუთრებულ მიზნისთვის ხალხზე გაიწერება განსაკუთრებული გადასახადი. მაგ. ლარიბთათვის. განათებისათვის, მიწის გა-

ნოყიერებისათვის, სკოლისათვის იწერება და იკრიფება. ყოველთვის განსაკუთრებული გადასახადი ცალ-ცალკე. მხოლოდ აკრეფის შემდეგ თუ ერთ მიზნისათვის მეტი შემოვიდა ვიდრე საჭიროა, გადარჩენილს სხ. საჭირო საგანზე მოიხმარენ. ეს მიზნობრივი სისტემა გადასახადებისა ფრიათ უხერხულია და არ ექვემდებარება საერთო სისტემას. ბოლო ხანებში ინგლისი ცდილობს თავი დაახწიოს ამ უხერხულ ადათს და გაამარტივოს თავისი გადასახადების გაწერა-აკრეფის მეთოდი. მიელს ინგლისში 1902 წელს თვითმართველობათ „ლარიბთა გადასახადმა“ მისცა სულ 22.938.000 გირვ. სტერლინგი, აქედან ლარიბებს მოხმარდა მხოლოდ 12,261.000 გირ. სტერლ. დანარჩენი კი წავიდა პოლიციისა, გზებისა, სკოლისა და სხ. საჭიროებებზე.

ამგვარად წარმოებულ გადასახადების შემოსავალში მონაწილეობას ღებულობს საგრაფოები 15%-ში, საოლქო მართველობანი კი 15—10%-ში.

გარდა საკუთარ გადასახადებით აკრეფილ თანხებისა ინგლისის თვითმართველობათ ყოველ წლიურად ეძლევათ სახელმწიფო ხაზინიდან დახმარებები სხ. და სხ. სახით რომლის რაოდენობა წლიურათ 200.000.000 მან. აღემატება. ეს თანხა იკრიბება განსაკუთრებით მემკვიდრეობის მოძრაობაზე გაწერილ ბაჟიდან (probate duty). თვითმართველობათა სასარგებლოთ მიდის აგრეთვე სახელმწიფოს მიერ გაწერილი დამატებითი გადასახადი ლუდსა, სპირტზე და ფუფუნების საგნებზე. საინტერესოა გათვალისწინება ინგლისის თვითმართველობათა და სახელმწიფოს შემოსავალი საერთოთ:

ყველა თვითმართველობათა შემოსავალი გადასახადებისაგან (rates) უდრიდა 1906 წ. 58,2 მილიონი გირ. სტერლ. სახელმწიფოს შემოსავალი იმავე წელს კი უდრიდა 143,9 მილიონი გირვ. სტერლინგს. უკანასკნელ ციფრში არ შედის შემოსავალი, აკრეფილი სახელმწიფოს მოხელეთაგან. ამავე 1906 წ. თვითმართველობათა ვალი საზოგადოთ უდრიდა 435,5 მილიონ გირვ. სტერლ. 1909—10 წ.წ. ადგილობრივ კავშირთა (თვითმართველობათა) შემოსავალი ინგლისში უდრიდა=195,8 მილიონ გირვ. სტერლ. მათი ვალი კი გაიზარდა 623,8 მილიონ გირვ. სტერლინგამდე.

დაბეგვრა ხალხისა 1906 წ. ფრიად მძიმე იყო. მას აქეთ დაბეგვრა თანდათან იზრდება. ეგ სიმძიმე რომ ცხად ვყოთ საკმარისია აღინიშნოს რომ ხსენებულ წლის დაბეგვრა უდრიდა 32% გადასახადების ობიექტის ღირებულებისას.

## 2. თვითმართველობანი საფრანგეთში.

ღიამეტრულათ წინააღმდეგია საფრანგეთის თვითმართველობათა ტიპი ინგლისთან შედარებით. უკანასკნელი შედეგია ნელი, თანდათანობრივი საუკუნოებრივი განვითარებისა, რთული და მრავალ-ფეროვანია. საფრანგეთისა კი უმთავრესათ შედეგია ერთი წლის—1719 წ.—ერთი კანონის ცხოვრებაში გატარებისა. იგი უფრო ხელოვნურია, მაგრამ მაგი მეტი სიმეტრია და სიმარტივეა.

**კომუნა.** წერილი ერთეული საფრანგეთში წარმოდგენილია სასოფლო თვითმართველობით ანუ კომუნით. უკანასკნელის თავისუფლება ფრიად შეზღუდული იყო რევოლიუციით, რადგან ეზინოდათ ავტონომიურ ერთეულებში ისევ თავი არ წამოეყო კონტრ-რევოლიუციას. მხოლოდ 1884 წ. 5 აპრილის კანონით დაუბრუნდა კომუნას მეტი თავისუფლება და საკუთარ მერის არჩევის უფლებაც. კომუნას ორგანო არის: არჩეული სოფლის თავი. ანუ მერი, რომელსაც ყავს დამხმარენი და სასოფლო საბჭო. მთელი ძალაუფლება არის მერის ხელში, მაგრამ იგი ემორჩილება ადმინისტრაციის წარმომადგენელს—პრეფექტს, რომელსაც იგი ექვემდებარება, როგორც ცენტრის წარმომადგენელს. აქ გამოსკვივის საფრანგეთში საყოველთაოდ ყველგან მძაფრად გატარებული ცენტრალიზმი. კომუნის მოვალეობაა უმთავრესათ საპოლიციო მართველობა, პირველ დაწყებითი და უმეტეს შემთხვევაში საშუალო სკოლები, გზები, ხალხის ჯანმრთელობა, საეკლესიო და სახალხო მეურნეობისათვის ზრუნვა. ღარიბთათვის ზრუნვა ეკისრება საქველმოქმედო ბიუროებს. მხოლოდ 15 ივლისის 1893 წ. კანონით დაევალა თვითმართველობებს ღარიბ-სნეულთათვის ზრუნვა, მედიკური დახმარება, წამალი და მოვლა. საფრანგეთის ცენტრალისტურ სულის კვეთებით აიხსნება ის გარემოება, რომ ყველა ამ მიზნებისათვის საჭირო თანხა გადადის თვითმართველობათა ხელში მხოლოდ სახელმწიფოს საშუალებით და მისი სახელით. მასვე აქვს უაღრესათ დიდი გავლენა ყველა იმ საქმეების წაძლოლაში, რომელიც უშუალოთ ხალხის ფართო მასას ეხება.

**დეპარტამენტი.** მსხვილი სათვითმართებლო ერთეული განსახიერდება დეპარტამენტში, რომელიც გეოგრაფიულათ სრულიათ შემოფარგლულია. მისი მოქმედება-დამთავრება და განსრულება კომუნების მოღვაწეობისა. მის მოვალეობის ფარგლებში შედის სადეპარტამენტო და დაბების გზების მოვლა, ობოლთა და სულით-ავადმყოფთათვის ზრუნვა, დეპარტამენტის სატუსალოთა და შენობათა დაცვა და მოვლა, სასოფლო მეურნეობის და მრეწველობისათვის ზრუნვა.

**ფინანსიური მხარე.** საფრანგეთში თვითმართველობებს არა აქვთ საკუთარი გადასახადები, არამედ არსებობენ სახელმწიფო გადასახადების დამატებებით, რომელსაც ლებულობენ სახელმწიფოსაგან. ეს გარემოება ქმნის უკიდურეს დამოკიდებულებას თვითმართველობათა სახელმწიფოსაგან; კომუნების შემოსავლის წყარო შემდეგია:

1) კომუნების უძრავი თუ მოძრავი ქონებისგან. 2) დამატებითი სანტიმები. ასე ეძახიან იმ პროცენტებს რომელიც მიდის კომუნის სასარგებლოთ სახელმწიფოს მიერ გაწერილ პირდაპირ გადასახადიდან.

ეს დამატებითი სანტიმები განაწილდება სამ ხარისხად.

ა) ჩვეულებრივი სანტიმები, რომელიც თავის დანიშნულებაში კანონით არ განისაზღვრება და ფარავს ჩვეულებრივ გასავალს. იგი შეადგენს ხუთ პროცენტს მიწისა და პირადისა-და-ბინის გადასახადისას.

ბ) სპეციალური სანტიმებია, რომელიც თავის დანიშნულებაში კანონით განსაზღვრულია და იხარჯება მხოლოდ და ისიც წინასწარ გათვალისწინებულ საჭიროებებზე: მილიცია, გზები, სკოლები, დეფიციტის დაფარვა და სხ. ეს სანტიმები იქვეთება ოთხივე სახის პირდაპირ გადასახადებისაგან.

გ) არაჩვეულებრივი სანტიმებია, რომელიც მიდის უმთავრესათ ასეთ საჭიროებათა და საგნებისათვის, რომელიც არაა სავალდებულო თვითმართველობათათვის. აქედან ცხადია, რომ ამ დარგში კომუნები ძალიან შეზოკილი არიან.

დ) სახელმწიფო უთმობს კომუნებს 80% პროცენტების შემოსავლიდან, ცხენებსა და ეტლებზე გაწერილ გადასახადების ნაწილს, ნადირობის ნებართვებზე გადასახადისა, ძაღლებზე და ველოსიპედებზე გაწერილ გადასახადების ნაწილსა.

4) დიდ როლს თამაშობს საფრანგეთის სათვითმართებლო ერთეულებისათვის ე. წ. ოქტრუა (octroi) ერთგვარი ბაჟი შემოტანილ საქონელზე. როგორც არა პირდაპირი გადასახადი, იგი მოსპეს რეეოლუციის დროს მაგრამ ცხოვრებამ შემდეგ კიდევ წამოაყენა ოქტრუას საკითხი. იგი განაახლეს და ეხლა მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საფრანგეთის ადგილობრივ ფინანსებისათვის. ოქტრუა ბევრავს: ღვინოს და სასმელებს, პირუტყვთა საკვებს, საშენ მასალას და სხ. ამ გადასახადს თვითმართველობა ან თვითონ კრეფს საკუთარ მოხელეთა საშუალებით ან სცემს იჯარით, რაც მას აძლევს განსაზღვრულ თანხას და პროცენტებს, ან ჰყიდის მის უფლებას ან უთმობს სახელმწიფოს, რომლისგანაც იგი ღებულობს თავის ხვედრს.

რომ ცხადი იქმნეს მკითხველისათვის თუ რა დიდ როლს თამაშობს ოქტრუა ადგილობრივ თვითმართველობათათვის მოვიყვანთ შემდეგ ციფრებს: 1907 წ. საერთო შემოსავალი უდრიდა 896,5 მილიონ ფრანკს, აქედან ოქტრუას ნაწილი იყო 276,3 მილიონ ფრანკი ე. ი. მთელი 30,8%.

გასაკვირი არ არის, რომ საზოგადოებრივი აზროვნება ძალზე ეწინააღმდეგება ოქტრუას სისტემას და მოითხოვს მის მოსპობას. ჩვენ არ ვიცით ამ ომის განმავლობაში რა მოხდა საფრანგეთის შინაგან ვითარებაში, მაგრამ ცხადი კია რომ ოქტრუას სისტემა დიდ ხანს ვეღარ დარჩება. უკვე 29 დეკემბერს 1897 წ. კანონით შეამცირეს ოქტრუა „ჰიგიენურ სასმელებზე“ 29 დეკემბერს სასმელებზე კანონით 1901 წ. იმავე სრულიად მოსპეს ოქტრუა, მხოლოდ ქალაქებისათვის კი დატოვეს.

დეპარტამენტების ფინანსები შედის სახელმწიფო ბიუჯეტში, როგორც განსაკუთრებული დამატება და გამოიხატება იმავე დამატებითი სანტიმებში. ყველა სანტიმები კანონით არის განსაზღვრული და ყველა კერძო შემთხვევაში მისი მომატება შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებული დეკრეტის ან კანონმდებლობის ძალით.

საერთოთ მაგ. 1904 წ. კომუნების შემოსავალი უდრიდა 207 მილიონ ფრანკს, დეპარტამენტებისა 195 მილიონ ფრანკს სულ კი 402 მილიონს.

თვითმართველობათ შემოუვიდა ათას ფრანკებში:

	მიწის გადასახ. დაუმუშ. მიწიდან	მიწის დაუმუშ. მიწიდან	პირადი-მოძრავე გადასახადი	ფანჯარაზე, კარებზე გადასახადი	პატენტზე გადასახადი
კომუნებს . . . . .	53	417	35.196	21.136	39.483
დეპარტამენტებს	70	403	39.595	15.046	28.040

უმთავრესი გასავალი დეპარტამენტებისა იყო გზების მოვლა, რაზე-დაც დაიხარჯა 151.448.000 ფრანკი და საქველმოქმედო დაწესებულება-თათვის 86.716.000 ფრანკი. 1838—1901 წ.წ. სახელმწიფოს შემოსავალი გაიზარდა ოთხ პირდაპირი გადასახადისაგან:

293.000.000-დან 482 მილიონ ფრანკამდე ე. ი. 64 პროცენტით.

იმავე 63 წლის განმავლობაში თვითმართველობათა შემოსავალი იმავე გადასახადზე დაწესებულ დამატებითი სანტიმებით გაიზარდა:

დეპარტამენტებისა . . . . . 60,6 მილ. 195 მილიონ ფრანკამდე  
 კომუნებისა . . . . . 32,0 მილ. 206 მილიონ ფრანკამდე.

ე. ი. საერთოთ ზრდა უდრის 328%.

ეს დამატებითი სანტიმები დედა ბოძია ადგილობრივი ფინანსებისა. იგი უდრიდა მაგ. 1903 წ. 25,9 პროცენტს ყველა კომუნების ბიუჯეტისას საერთოდ. ყველაზე მეტი რაოდენობა იყო 1891 წ. მაგ. კორსიკაში სადაც ფრანკზე 100—510 სანტიმს ღებულობდა ზოგი კომუნა. არის წლები, რო-დესაც კომუნები და დეპარტამენტების გაწერილობა დამატებითი სანტი-მებით ექვსჯერ მეტია ვიდრე სახელმწიფოს პირდაპირი გადასახადები. სა-ერთო მასშტაბით რომ ვიანგარიშოთ და გამოვითვალოთ თუ თითო მცხოვ-რებზე რამდენი გადასახადი მოდის მხოლოდ დამატებითი სანტიმების გა-დახდისას, შემდეგ სურათს მივიღებთ:

დეპარტამენტისათვის დამატებითი სანტიმები მოდიოდა თითო მცხოვრებზე 1982 წ. 4,01 მარკა.

1802 წ. 3,01 „

კომუნებისათვის დამატებითი სანტიმები მოდიოდა თითო მცხოვ-რებზე

1882 წ. — 2,85 მარკა

1902 წ. — 4,26 „

ამას თუ მიუმატებთ სხვა უამრავ გადასახადებს როგორც სახელმწი-ფოისას ისე საეკლესიოს და იმავე თვითმართველობათათვის, აშკარა გახ-დება, რომ არც საფრანგეთშია გლეხობა და მთელი ხალხი გადასახადებით ნაკლებათ დაბეგრულია.

### 3. თვითმართველობანი გერმანიაში \*)

უკვე აღწერილ ინგლისის და საფრანგეთის თვითმართველობათა ორგანიზაციაში ჩვენ შევხვდით ერთის მხრივ უაღრეს მრავალ-ფეროვანობას, თითქმის უსისტემობას თვითმართველობათა დაარსება-მოქმედებაში, რაც ახასიათებს ინგლისის შინაურ ვითარებას, სანაც ყოველ მიჩნეულ მიზნისათვის ცალკე თვითმართველობანი ჩდება თავისი ფრიად განსაზღვრულ მაგრამ საკუთარ ფუნქციებით, აქ ყოველი ადგილობრივი ხასიათის საკითხი, თუნდაც უაღრესათ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა, გადადის თვითმართველობაზე, რომელიც იმავე დროს, მაშასადამე სახელმწიფოებრივ ფუნქციებს კისრულობს. თვით სახელმწიფოს ადგილობრივ მართვა-გამგეობაში არც ერთი თავისი მოხელე, არა ჰყავს. მეორეს მხრივ ძალზე განვითარებული ცენტრალიზაცია, დამოკიდებულება ადგილობრივი თვითმართველობისა ცენტრისაგან, როგორც მართვა-გამგეობაში ისე ფინანსიურ წყობილებაში. სახელმწიფოს პრეფექტს ყველა ერთეულში მეტი მნიშვნელობა, უფლება და გავლენა აქვს ვიდრე არჩეულ მერს. ამ ორ ტიპის შუა ადგილს იკავებს თავის შინაურ ორგანიზაციაში გერმანია, რომელიც თითქო აზავებს ერთს მეორეში ინგლისის მრავალგვარობას საფრანგეთის რენიტარულ სისტემასთან. განსაკუთრებით ტიპიურია და დამახასიათებელი გერმანულ თვითმართველობათა სისტემაში პრუსიაში. შემოღებული და დამკვიდრებული ორგანიზაცია. საერთოთ მთელს გერმანიაში თვითმართველობათა ფუძეს შეადგენს სასოფლო ერთეული, თემი, როგორც მაგ. საფრანგეთში კომუნა, და შეიცავს მეტნაკლებობით თვითმართველობის ყველა ფუნქციებს. მაგრამ ამ სათვითმართებლო ერთეულთან ერთად, რომელსაც აწევს ადგილობრივი მართველობითი ფუნქციები გერმანიაში ისე, როგორც ინგლისში კიდევ შეხვდებით განსაკუთრებულს, მიზნობრივ კავშირებს თუ თვითმართველობით, ე. ი. ისეთ თვითმართველობათ, რომელიც დაარსებულია განსაკუთრებულის მიზნით, სპეციალური კერძო დანიშნულებით და მთელს თავის მოქმედებასა და მოღვაწეობას მხოლოდ აი, იმ კერძო მიზანს ანდომებს. მაგ. ხშირათ შეხვდებით გერმანიის სხვა და სხვა კუთხეში ტაძრის (ეკლესიის) თვითმართველობანი (Kirchengemeinden) ან კიდევ სასკოლო თვითმართველობათ (Schulgemeinden). საყოველთაოდ ითქმის, რომ თვითმართველობათა სამოქმედო რგოლი თანდათან განიერდება

\*) A. Wagner und Preuss, Kommunale steuerfragen;

A. Wagner, Die finanzielle Mitbeteiligung der Gemeinden an kulturellen Staatseinrichtungen und die Entwicklung der Gemeindesteuern.

Fr. Heinle, Zur Reform des Gemeindefinanzwesens.

O. Gerlach, Gemeindesteuerrecht.

W. Roscher, System der Finanzwirtschaft.

K. W. Eheberg, Finanzwissenschaft.



და ვრცელდება ზოგჯერ თვით სახელმწიფოსაგან ერთი მეორეზე დათმობილ მიზნით ზოგჯერ კი თვით მიჩნეულ თვითმართველობის სამოქმედო ფარგლებში ადგილობრივი ცხოვრების ზრდა-განვითარებით და კულტურულ მოთხოვნილებათა გართულებით. უმეტეს შემთხვევებში გერმანიის თვითმართველობათ ევალებათ: ადგილობრივი პოლიციის (მილიციის) ხელმძღვანელობა ან ზოგიერთ პროვინციებში თუ არა ხელმძღვანელობა სახელმწიფოსადმი დახმარება მაინც, პირველ დაწყებითი, ზოგიერთ პროვინციებში საშუალო კოლებიც, დაბებისა თუ სასოფლო გზები, ღარიბთა თავშესაფარი და სახალხო ჯანმრთელობა.

პრუსიაში წვრილ ერთეულს წარმოადგენს სოფელი, თემი (Orts-gemeinde), რომელიც ფუძეს წარმოადგენს საშუალო ერთეულისათვის, რომელიც შესდგება მაზრისაგან (Kreis); მსხვილი ერთეულია უკვე პროვინცია. ეგ დანაწილება გერმანიის შემადგენელ სხვა და სხვა ნაწილებში სხვა და სხვა გვარად იწოდება. მაგ. ბავარიაშია მაზრა (Kreise) და ოლქები (Distrikts-gemeinde); საქსონიაში სარაიონო კავშირები (Bezirks-nerbände) და სხ. აზრი კი ყველგან ერთი და იგივეა გატარებული: წვრილი, საშუალო და მსხვილი ერთეულები ურთიერთ შორის ინაწილებენ ფუნქციებს და ერთი მეორეს შეაყვებს და განასრულებს ადგილობრივ მოღვაწეობაში. შინაგანი აგებულება მართვა-გამგეობისა არჩევნებზე დაფუძნებული ფრიად მოგვაგონებს უკვე განხილულს და ცნობით სისტემას, თუმცა დეტალებში გერმანიის სხვა და სხვა კუთხე ერთი მეორისაგან ანსხვავდება; რომ განმეორება არ მოგვიხდეს ჩვენ პირდაპირ გადავალთ ფინანსიურ ვითარების განხილვაზე, რომელსაც სრულათ ახალს ნიდავზე ჰყენებს პრუსიის 1893 წ. კანონი.

**ფინანსიური ვითარება.** გერმანიის თვითმართველობანი იკვებებიან როგორც საკუთარ გადასახადებით ისე სახელმწიფოს მიერ აკრეფილ გადასახადებზე დაწესებულ დამატებებით. ფინანსიური სახე თვითმართველობათა გერმანიის შემდგენელ ნაწილებში სულ სხვა და სხვაა. ჩვენ შევიჩრდებით ყველაზე უფრო თვალსაჩინო და დამახასიათებელ თვისებებზე.

**პრუსიაში წვრილი ერთეულის შემოსავალი** იკრიფებოდა განსაკუთრებით: 1) სახელმწიფოს გადასახადის (პირდაპირი) დამატებებისაგან; ეს დამატებები დაწესებული იყო მიწისა, სარეწავთა, შემოსავლის კვალობისა და კლასების გადასახადზე. დამატებების რაოდენობა 1893 წლამდე უდრიდა საზოგადოთ 300%, ეს ის დამატებებია რომელნიც დაწესებულ იყო მხოლოდ შემოსავლის კვალობაზე გაწერილ გადასახადზე; 2) სამრეწველო წარმოებებისაგან; 3) საკუთარ ქონებისაგან. ამათ გარდა მათ ქონდა კიდევ თავისი სპეციალური რეალური სათემო გადასახადი—შემოსავალზე, ბინაზე, ძაღლებზე გაწერილი; შემდეგ კიდევ არა პირდაპირი გადასახადები სათბობ მასალაზე, საკვებზე, ხილეულობისაგან გაწურულ ღვინოზე, ლუღზე და სხ. ეს უკანასკნელი ჩვენ უკვე საფრანგეთის ოქტრუას გვაგონებს, თუმ-

ცა მისი მნიშვნელობა საერთოთ ფინანსებისათვის აქ ძალზე მცირე იყო—სულ 3% უდრიდა.

მაზრების თვითმართველობათა შემოსავალი იკრიფებოდა: 1) იმავე სახელმწიფო გადასახადზე დაწესებულ დამატებებისაგან, 2) საკუთარ ქონებისაგან და 3) ხაზინის დახმარებისაგან. მთელი 52% თავიანთი ბიუჯეტის მათ შემოუდიოდათ გადასახადებისაგან; შედარებით ნაკლებ როლს თამაშობდა ხაზინის დახმარება, რომელიც საერთოთ 18% არ აღემატებოდა.

პროვინცია კი თავის საჭირო ფინანსებს კრეფდა სახელმწიფოს დოტაციებიდან, (უკანასკნელი გულისხმობს სახელმწიფოს მიერი დახმარებას ფულსა თუ სხ. რაიმე მატერიალური. სახით. თვითმართველობათათვის); კაპიტალების შემოსავლიდან, უძრავ ქონებადან და გადასახადებიდან. უნდა აღინიშნოს, რომ პროვინციისათვის უდიდეს როლს თამაშობდა სწორეთ დოტაციები, სახელმწიფოსგან მიღებული დახმარება, რომელიც საერთოთ შეადგენდა 63,52% პროვინციათა საერთო ბიუჯეტისას. აქ ერთი გარემოებაა საყურადღებო. სახელმწიფო თავის დახმარების გაცემისას თვითმართველობაზე ან არ საზღვრავდა წინასწარ თუ რასა და რა საჭიროებას უნდა მოხმარებოდა გაწეული დახმარება—ეს იყო ნამდვილი დოტაცია; ან და წინასწარ გარკვევით და დაწვრილებითი აღნუსხვით ჩამოთვლიდნენ, რომ გაწეული დახმარება უნდა მოხმარდეს მაგ. გზების გაყვანას, სამეურნეო სკოლების აგებას, მიწის განოყიერებას, 'გლახაკთა' შენახვას. უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს საქმე უკვე ე. წ. სუბვენციებთან (Subventionen). პროვინციებისათვის შემოსავლის ორივე წყაროს უდიდესი მნიშვნელობა ქონდა. ეს დახმარება — დოტაციები და სუბვენციები — სახელმწიფოს მიერ ნაწილდებოდა პროვინციებზე მცხოვრებთა რაოდენობისა და სივრცის მიხედვით. მაგრამ იყო შემთხვევა როდესაც პროვინციას ფული მაინც არ ყოფნიდა ხარჯების დასაფარავათ. უკანასკნელ შემთხვევაში პროვინციის თვითმართველობის ხმოსანთა ყრილობას უფლება ქონდა დაედგინა, რომ საჭირო თანხა შეეკრიფათ გადასახადის სახით, რაც შედარებით სასწრაფოთ სისრულეში მოყავდათ. ამ შემთხვევაში საჭირო თანხას გააწერდნენ მაზრებს, მის და მიხედვით. თუ რომელი მაზრა რამდენ სახელმწიფო პირდაპირ გადასახადს იხდიდა. მაზრა თავისი მხრივ გაანაწილებდა თავის წევრებზე მისდამი კუთვნილ თანხას. დრო გამოშვებით იყო შემთხვევა, რომ რაიმე გაუმჯობესების შემოღებით. არხისა ან რკინის გზისა ან კიდევ სხ. სახით თათოული მაზრა პოულობდა მილიონს ან დიდ სარგებლობას. ამ შემთხვევაში პროვინციას უფლება ქონდა მაზრის მეტ-ნაკლებობით დაბეგვრისა იმ სარგებლობასთან შეფარდებით, რომელსაც მაზრა პოულობდა ახალ გაუმჯობესებით სხვა მაზრებთან შედარებით. აქ ვხედავთ ჩვენ უკვე ჩანასახს სამსახურისა და სანაცვლო სამსახურის (Zeistung und Gegenleistung) პრინციპისას, რომელიც შემდეგ განვითარების პროცესში ადგილობრივ თვითმართველობათათვის. გადაწყვეტი მნიშვნელობის

შეიქმნება. გადასახადები პროვინციის ბიუჯეტში შედარებით ნაკლებ როლს თამაშობდა; იგი უდრიდა დაახლოვებით არა უმეტეს 23, 34%-ისას.

ასეთი იყო ფინანსიური ვითარება პრუსიაში, მინამ მოახდენდნ გადასახადების რეფორმას 24 ივნისის 1891 და 14 ივლისის 1893 წლის ორი კანონით. ამ ორ უკანასკნელ კანონს კიდევ დაერთო ორი ახალი (ე. წ. Novellen) 30 ივლისის 1895 წ. და 24 ივლისის 1906 წ. რეფორმა უმთავრესათ თავისი დედა აზრით გამოიხატა მაში, რომ საგელმწიფომ ხელი აიღო თვითმართველობათა სასარგებლოთ ყველა რეალურ გადასახადებზე. თვითმართველობათა ხარჯები ამ რეფორმის ძალით უნდა დაიფაროს უმთავრესათ: მიწისა, შენობათა და სარეწავთა გადასახადებიდან შემოსულ თანხის საშუალებით. სახელმწიფო კი თავისთვის იტოვებს შემოსავლის

კვალობაზე გადასახადს და გაცემულ უფლებათა ასანაზღაურებლათ მასვე შემოაქვს კიდევ შეძლების კვალობაზე გადასახადი (Vermögenssteuer). აქ უფლებები თვითმართველობათა და სახელმწიფოს შორის მკაფიოთ არის განსაზღვრული. ისე, რომ არც ერთი სხვა დარგში, მაგ. ადმინისტრაციაში, და არცერთ სხვა ქვეყანაში თავის ბადალს ვერ ჰპოებს. თვითმართველობათ მიჩნეული აქვთ განსაკუთრებული წყარო რეალურ შემოსავლისა, რომელიც მას სახელმწიფომ დაუთმო. სახელმწიფოს აქვს თვითური შემოსავლის წყარო, რომელიც დანიშნულია მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტისათვის; მართალია, თვითმართველობათ აქვთ უფლება მიიღონ შემოსავლის კვალობაზე გადასახადიდან ნაწილი, მაგრამ 1) მხოლოდ როგორც დამატება სახელმწიფოს მიერ დაწესებულ გადასახადზე; მაშასადამე ბატონ-პატრონობა და ხელმძღვანელობა ამ გადასახადზე ყოველ შემთხვევაში რჩება სახელმწიფო უწყებათ, 2) ეს დამატებები უნდა ეთანხმებოდეს სახელმწიფოს მიერ მიღებულ სისტემას და გაწერილ რაოდენობას, 3) ცხრაას მარკიანზე ნაკლებ შემოსავალზე გაწერილი გადასახადი არ უნდა გაცილდეს სახელმწიფოს მიერ დაწესებულ ნორმას ე. ი. 1,20 მარკა თუ შემოს. 420 მარკას უდრის

2,40	„	„	„	420—660 მარ. უდ.
4	„	„	„	660—900 „ „

განსაკუთრებული შემოსავლის კვალობაზე გადასახადის შემოღება თვითმართველობათა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეზღუდვით შეუძლიათ. სრულიად შეუძლებელია, რომ თვითმართველობამ შემოიღოს შეძლების კვალობაზე გადასახადი (Vermögenssteuer), რომელიც საცხებით და უცვლელათ სახელმწიფოს კუთვნილებას შეიცავს. ასეთი განსაზღვრა შემოსავლის წყაროებისა და განსაკუთრებით რეალური გადასახადებზე უარის თქმა სახელმწიფოს მიერ გამოიწვია შემდეგმა მოსაზრებამ.

რეფორმის წინ პრუსიაში იყო სამი რეალური გადასახადი: მიწაზე-სახლებზე და სარეწავზე. სამივე დარგს გადასახადი სულ სხვა და სხვა სიმძიმით აწევბოდა. მაგ. სარეწავთ შემოსავალზე სულ 1% თუ უხდებოდა გადასახადი და ისიც თუ მისი შემოსავალი 1.500 მარკას მაინც უდრიდა,

წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გადასახადისაგან სრულიათ თავისუფლდებოდა; მაშინ როდესაც ორ პირველ დარგზე გადასახადიც უფრო მძიმე იყო 5—4% და არც არავითარი შეღავათი. საარსებო ბინა მუშის (Existenzminimum) გამოკლებით არ არსებობდა. ამას განსაკუთრებით მწვავეთ გრძნობდა უფრო ნაკლები წრე. ამას დაუმატეთ კიდევ რომ გადასახადი არ ეხებოდა მოძრავ კაპიტალის შემოსავალს. პრუსიის მთავრობა არა ერთხელ დამდგარა ყველა ამ გადასახადების სიმძიმის უფრო სამართლიანად, მათი პროცენტის გათანაწილების აუცილებლის წინ, მაგრამ ამ გათანაწილების მოხდენა თითქმის შეუძლებელი იყო, რადგან ხსენებულ სამ დარგზე გაწერილ გადასახადებს, სამივეს თავ-თავისი და სრულიათ განსხვავებული მასშტაბი ქონდათ; მაგ. მიწის გადასახადის პრინციპი ეყრდნობოდა ძველის ძველ კადასტრს, რომელსაც მიზნათ ქონდა მფლობელობათა ანუ საკუთრებათა ე. ი. სამეურნეო ერთეულთა ურთი-ერთ შორის შედარებითი რაოდენობის გაზომვა და გამოკვლევა და არა ყოველი კერძო და თვითეული სამეურნეო ერთეულის წმიდა შემოსავალი. ამის გარდა თვით კადასტრი ძველზე ძველი და ახალ დროისთვის სრულიად შეუფერებელი იყო. ასეთი სხვადასხვაობა სამივე დარის გადასახადების საფუძვლისა შეუძლებლათ ხდიდა ახლო მომავალში მათ გათანაბრებას. საჭირო იყო ახალი და ძვირი კადასტრის შემოღება, სრულიად გამოცვლა მასშტაბებისა და ამასთანავე პირდაპირი გადასახადების ნაკლი, უმოძრაობა მაინც დარჩებოდა. საქმე იმაშია, რომ სახელმწიფოს ინტერესია გადასახადი იყოს მოძრავი ე. ი. მისი პროცენტის გადიდებით თუ შემცირებით შესაფერისათ. იცვლებოდეს შემოსავალიც. ეს თვისება რეალურ გადასახადს არაა აქვს. მისი შემოსავალი კუს ნაბიჯივით იზრდება და სახელმწიფოს თანამედროვე ბიუჯეტები კი ელვის სისწრაფით.

თვითმართველობათა ხელში კი რეალურ გადასახადების ბევრი ნაკლი შედარებით ადვილათ შეიძლება ავიციდინოთ. თვითმართველობა სწორეთ. მისთვის, რომ მისი სამოღვაწო ასპარეზი ვიწროთ არის შემოფარგლული ადგილობრივი მეურნეობის განვითარებას და მომხდარ ცვლილებათ უფრო ადვილათ მისდევს, უფრო ზედმიწევნით გააუწევს ანგარიშს ვიდრე სახელმწიფო. თვითმართველობის ფარგლებში მოქცეულ ქონებათა, მიწისა, წარმოების ღირებულების გამოკვლევა თუ შეფასება მას უფრო ეხერხება და სწორეთ ამით შეიძლება გამოკეთდეს კადასტრის სისტემის ბევრი უხერხულობა.

მაგრამ ამ რეფორმის გატარებისას ხელმძღვანელობდნენ კიდევ სხვა მოსაზრებით, რომელსაც ემყარება ხსენებული კანონები. თვითმართველობის მოღვაწეობა გამოიხატება უმთავრესათ მიმოსვლისა, ქველმოქმედებისა, მეურნეობის და სხ. ამგვარ დარგებში ე. ი. წმიდა ეკონომიურ ხასიათისა და წარმოადგენს ერთგვარ ეკონომიურ კავშირს. აქედან გამომდინარეობს, რომ ეკონომიური ხასიათის ზომები თუ გაემჯობესებანი, რომელიც მოხ-

დენილია თვითმართველობათა თაოსნობით სასარგებლოა მეტ-ნაკლებობით კერძო ეკონომიურ დაწესებულებათათვისაც, რომელთაც უნდა იკისრონ იმავე მეტ-ნაკლებობით თვითმართველობის მიჩნეულ გაუმჯობესებაზე გაწეული ვასავალისა და ხარჯების დაფარვა. მაგ. თვითმართველობამ გაიყვანა ახალი გზა, არხი ან აავო ისეთი შენობა და გამართა ისეთი დაწესებულება რომელიც ახლო თუ მოშორებით მდებარე რაიონების მფლობელთ თუ მწარმოებელთ, მესაკუთრეთ მრეწველთ, სახლის პატრონთ და სხ. მეტ-ნაკლებობით საკუთრებისა თუ წარმოების ღირებულებას და შემოსავალს გაუდიდებს. რასაკვირველია, აქ უნდა მიღებულ იქნას სრულიათ ახალი პრინციპი ფინანსიურ მეცნიერებისა: სამსახურისა და სანაცვლო სამსახურისა (Leistung und Gegenleistung). მართალია, თვითმართველობათ, ისე როგორც სახელმწიფოს, ვვალებათ ისეთი საქმეებიც, რომელიც ერთგვარათ სასარგებლოა ყველასათვის. ეს საქმეებია საერთო მმართველობის ხასიათის და სახელმწიფოს მიერ თვითმართველობაზე დაკისრებული, აქ აუცილებლად უნდა იყოს მიღებული გადასახადი ყველაზე გაწერილი შეძლებისა და გვართ, რადგან ყოველი მოქალაქე ვალდებულია ემსახუროს რამდენათაც შეუძლია თავის თვითმართველობას; მაგრამ წმიდა ეკონომიური ახალი ზომებით ზოგი მესაკუთრე თუ მწარმოებელი შეუძლებლათ დიდ სარგებლობას ჰპოვებს და სწორეთ ამისთვის შემოიღეს პრუსიაში ხსენებული პრინციპის—სამსახური და სანაცვლო სამსახურის—გადასახადი, რომლის შესახებ ბევრი კამათი იყო ფინანსიურ ლიტერატურაში, რომელიც ჯერ კიდევ დაუსრულებელია, ერთი ჯგუფი პრინციპიალათ წინააღმდეგი იყო უკანესკნელი სისტემისა, მეორე ჯგუფი უპირობოთ მოითხოვდა სისტემის გატარებას; შედარებით უფრო შემარბებელ ნიადაგზე იდგა ცნობილი ად. ვაგნერის სკოლა, რომელიც საჭიროდ ცნობდა სისტემის გატარებას თვითმართველობებში და არა სახელმწიფოს ბიუჯეტისათვის, რომელსაც აფუძნებდა: „ვისაც რამდენი შეუძლია თავისი ეკონომიური მდგომარეობით იმდენის სახელმწიფოსათვის გადასახადის სახით გაღების აუცილებლობაზე“.

კანონი შემდეგნაირად გამოსთქვამს ახალ პრინციპით გადასახადის შემოღებას: „თვითმართველობათ უფლება ეძლევათ საზოგადო ინტერესისათვის აგებულ თუ დაცულ დაწესებულებათა გამო გაწეულ ხარჯების დასაფარავათ გააწეროს გადასახადი იმ მესაკუთრეთ და მწარმოებელთ, რომელიც ამით პოულობენ განსაკუთრებულ სარგებლობას. გადასახადი უნდა ეთანხმებოდეს მიღებულ სარგებლობას“ (მუხ. 9). დაახლოვებით ასეთივეა ფინანსიური წყობილება საქსონიაშიც, მაგრამ აქ თვითმართველობები გაცილებით უფრო ავტონომიური და თავისუფალია დანარჩენ პროვინციებთან შედარებით. საყოველთაოთ დაწესებულია, რომ მიწა თუ სარეწავი მხოლოდ თავი მდებარეობის ადგილზე შეიძლება დაიბეგროს. გადასახადით ყველა წევრები თვითმართველობისა აუცილებლათ უნდა იხდიდეს შედ-

ლებისდაგვართ გადასახადს. აქ ერთი მეორესთან არსებობს როგორც რეალური ისე პირადი გადასახადი. უკანასკნელი უმთავრესათ შემოსავალზე გადასახადში განსახიერდება, რომელსაც უმთავრესი ადგილი უკავია თვითმართველობის ბიუჯეტში. ეს გარემოება შედეგია იმ სრული ავტონომიისა, რომელიც მეფობს სიქსონიის თვითმართველობებში თვით ფინანსიურ დარგშია. არა პირობაპირი გადასახადები შეიძლება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შემოიღონ.

**ბავარიაში** თვითმართველობები ლებულობენ სახელმწიფო პირდაპირი გადასახადებიდან განსაზღვრულ პროცენტებს. 14 აგვისტოს 1910 წლის კანონით ეს პროცენტები ყოველ მოქალაქისათვის სხვა და სხვანაირია იმისა და მიხედვით, თუ რამდენათ დაინტერესებული მიჩნეული მოქალაქე თვითმართველობის დაწესებულებებით; ე. ი. სახელმწიფო გადასახადის ვალეზისას ყოველ მოქალაქეს მით უფრო მეტი პროცენტის გაღება დაჭირდება თვითმართველობისათვის, რაც უფრო მეტ სარგებლობას, რაც უფრო მეტი ინტერესი აქვს მას თვითმართველობის დაწესებულებებში. ხელფასი, მოხელეთა ჯამაგირები რასაკვირველია ნაკლებათ იბეგრება ხსენებულ პროცენტებით ვიდრე რაიმე სამრეწველოს შემოსავალი. 1 აპრილის 1910 წლის კანონით გადასახადი იწერება აგრეთვე საკვებზეც მაგ. ყავასა, ხილეულობაზე, ლუღზე. თვითმართველობათათვის პროცენტს იხდის ყოველი მოქალაქე, რომელიც დაბეგვრილია სახელმწიფო გადასახადით. თვითმართველობათა სრულს განკარგულებაშია ძალღებზე გაწერილი გადასახადი 1 იანვ. 1912 წ. კანონით; და ნახევარი გადასახადებისა, რომელიც ეხება უძრავ ქონების ყიდვა-გაყიდვას. უმთავრესრ წყარო შემოსავლისა არის, მაშასადამე სახელმწიფო გადასახადებზე დაწესებული და დამატებები, მხოლოდ ამ უკანასკნელს აქ სხვა სახელი აქვს, სახელდობრ—პროცენტები.

**ვიურტემბერგში** თვითმართველობას უფლება აქვს აკრიფოს დამატებები მიწისა, შენობათა და კაპიტალის რენტაზე, შემოსავლის კვალობაზე და უძრავ (მიწის) ყიდვა-გაყიდვაზე დაწესებულ გადასახადებზე. გარდა ამისა ვიურტემბერგი მითი განსხვავდება ჩამოთვლილთაგან, რომ აქ შემოღებულია წმიდა პირადი გადასახადი; თუ ცხოვრობთ ამ პროვინციაში თქვენ უსათუოთ იხდით პირად საცხოვრებელ გადასახადს (Wohnsteuer); აქაც შემოღებულია ძალღებზე გადასახადი, ზოგიერთ შემთხვევაში ლუღსა, გაზსა და ელექტრონის განათებაზეც; ეს უკანასკნელი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ რეალური გადასახადი მიღებულ ნორმას აღემატება (4% კატასტრისა); საცხოვრებელი გადასახადი უდრის წლიურათ მამაკაცისათვის—2 მარკა; და 1 მარკა ყოველ დამოუკიდებელ დედაკაცზე.

მოყვანილი აღწერა ცხადათ გვაჩვენებს, რომ გერმანიის სხვა და სხვა კუთხეებში თვითმართველობები თუ უმთავრეს მოხაზულობით ყველგან ერთი და იმავე პრინციპზე არის აშენებული, წვრილმანებში ერთი მეორესაგან ძალზე განირჩევა. ყველაზე უფრო თანამედროვე და წინ გასწრებულია

პრუსია და საქსონია, რომელიც მაგალითს აძლევს დანარჩენ კუთხეებს, რომელნიც თავიანთ განვითარებაში თუმცა ერთ მთავარ საქმეს უახლოვდება მაგრამ თავისებურობას მაინც არ ჰკარგავს. საქსონია და პრუსიაში თვითმართველობები ერთი მეორისაგან ძნელათ თუ გაირჩევა, მაგრამ წვრილანებში ორივე პროვინცია მაინც თავისებურათაა ჩამოყალიბებული. ბავარია თავის დღეში არ იქნება კობიო ვიურტემბერგისა, როგორც მაგ. საფრანგეთში ერთი დეპარტამენტის კომუნალური ცხოვრება სტერეოტიპული განმეორებაა მეორესი. აქ როლს თამაშობს როგორც ისტორიული წარმოსული ისე გეოგრაფიული დანაწილება სახელმწიფოსი. უნიტარული სისტემა ზოგ სახელმწიფოს უხდება და ზოგს კი არა.

განხილული ტიპები სხვა და სხვა ცვალებადობით სხვაგანაც გვხვდება ევროპაში, მაგრამ მთავარი გარებობა ისაა, რომ თვით ამ სამ ტიპთა შორის ყველაზე განვითარებული, ყველაზე მოდერნული და დემოკრატიულია პრუსიის თვითმართველობის სისტემა, რომელიც კიდევ უფრო გასრულდებოდა ომიანობის მიერ. გამოწვეულ საქიროებათა დაკმაყოფილებისას. მსოფლიო ომმა ბევრი ახალი აღმოჩენანი უბოძა კაცობრიობას, როგორც სამხედრო ტექნიკაში ისე სახელმწიფოებრივ პრაქტიკაში. მაგრამ ყველაზე შესამჩნევი იქნება ის ტიპი ერთა შინაგან ორგანიზაციისა, რომელიც დამკვიდრდება ომისა და მის მომდევნო ხანაში დაგროვილ გამოცდებითა და ახალ გარემოებათა ზეგავლენით. კაცობრიობის სახელმწიფოებრივი ისტორია დღემდე მუდამ იმ სახელმწიფოს არგუნებდა მეტ გამძლეობის ძალას, სიმტკიცეს, კულტურულსა და პოლიტიკურ ჰეგემონიას, რომლის შინაური ვითარება შინაგანი ორგანიზაცია უფრო მიზან შეწონილი, ცხოვრებასთან შეფარდებული და სახელმწიფო აპარატთან შეხმატებული იყო.

არ კმარა ერის მტკიცე ნების ყოფა, თუ არ შეიქმნა საშუალება მისი მწყობრათ და ძლიერათ გამოაშკარავებისა. ჩვენი სახელმწიფო ჯერ კიდევ ნორჩი და ახალი ფეხადგმულია, მისი შინაგანი ორგანიზაცია მხოლოდ დაწყებულია ჩვენთან. ერთათ აზიის სხვა ერებიც ემზადებიან თავიანთ სახელმწიფოს მოსაწყობათ ან გარდასაქმნელათ: ეგვიპტე, ინდოეთი, თვით ოსმალეთიც, ჩინეთი და სხ. აქ ხდება ერთგვარი შეჯიბრება ერთა ნიჭიერებისა სახელმწიფოებრივი უნარისა და კულტურისნობისა.

აზიამ ევროპას ბევრი რამ მისცა თვით მე-XIX — XX საუკუნეში ინდოელთა და იაპონელთა საშუალებით. თუ რომელიმე ერის სახელმწიფოებრივი შინაგანი ორგანიზაცია ყოველის მხრივ დასრულებულ და თანამედროვე გართულებულ ცხოვრებასთან შეფარდებული აღმოჩნდა, ეჭვი არაა, ის გახდება დანარჩენისათვის ამ მხრივ სამაგალითოდ, რა გინდ მდგომარეობა არ ეკავოს მას საერთაშორისო ოჯახში. თვით საგნის სიდიადე და მაღალი მნიშვნელობა აკუთვნებს მას შესაფერ. ადგილს საკაცობრიო ოჯახში.

თანამედროვე სახელმწიფოებში ყველაფერი, უმცირესი წვრილმანიც კი, უნდა წარმოებდეს მსიფლიო საზომით, კაცობრიობის კულტურულ განვითარების მთავარ მიმართულებასთან შეფარდებით.

D-r philos. ტიტე მარგველაშვილი.

## სათბობი მასალის საკითხი ჩვენში

1.

საწარმოო ძალთა განვითარება ჩვენში მკიდროდ დაკავშირებულია სათბობიან საწვავი მასალის რაოდენობაზედ და მის სიაფეზედ.

ამ უამად ჩვენ სავსებით დამოკიდებული ვართ ბაქოს ნავთზედ, რადგანაც ადგილობრივად ნავთის დამუშავება ჯერჯერობით ძნელდება და ძვირადღაც ჯდება.

ჯერ ისევ ომამდის და შემდეგ ომის დროსაც, როცა ნავთის დამუშავება გაძვირდა, განიზრახეს ნავთის შეცვლა სხვა სათბობი მასალით როგორც რკინის გზების მოძრაობისათვის, ისე სხვა საჭიროებისათვისაც; ამ მიზნით მაშინ რკინის გზის სამმართველომ შეიმუშავა პროექტი მდ. რიონის ენერჯის გამოყენებისა ზესტაფონიდან ხაშურამდე. რკინის გზის ელექტრიფიკაციისთვის მეორე პროექტი შეიმუშავა ამ რვა წლის წინათ ქალ. ტფილისმა მდ. არაგვის ენერჯის გამოსაყენებლად ქალაქის საჭიროებისათვის; განათებისათვის, ტრამვაის მოძრაობისათვის და სხვა და სხვა სახელოსნოების და ქარხნების საჭიროებისათვის.

ომის დროს, როცა ნავთის დიდი კრიზისი იყო, სამხედრო უწყებამ განიზრახა ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ მოძრაობა ქვა-ნახშირით მოეწყო; ამ მიზნით მან ტყიბულის ქვა-ნახშირის ინტესიური დამუშავება დაიწყო.

ამ რიგად, სათბობი მასალის კრიზისის დროს, მის განელლებას ჩვენებური თეთრი და შავი ნახშირის საშუალებით არ ეცდებოდენ ხოლმე.

ჩვენი ქვეყანა თეთრი ნახშირით მდიდარია; მას საკმარისად აქვს შავი ნახშირიც.

უმთავრეს ჩვენ მდინარეებს და ჩანჩქრებს სამ მილიონამდე ცხენის ძალა შეუძლიან მოგვცეს. მარტო ჰდრაულიური სადგურის მოწყობა რიონზე, რომელიც ორმოცდაათი ათას ცხენის ძალას მოგვცემს, საკმარისი იქნება ჩვენი საჭიროებისათვის პირველ ხანებში.

სანამ შვეიცარია გერმანიის ქვანახშირზედ იყო დამოკიდებული, მისი რკინის გზები ყოველთვის ზარალს იძლეოდა, მაგრამ შვეიცარიამ პირველმა განახორციელა ევროპაში რკინის გზების ელექტრიფიკაცია და მათი ექსპლუატაცია ნორმალურ პირობებში ჩააყენა; ჩვენი ქვეყანაც მთავორიანი



ქვეყანა, სადაც გზების პროფილები ხშირად უსწორ-მასწორო და აღმართიანია; ასეთ გზებზედ ელექტრონის ენერგიით მოძრაობა სხვა უპირატესობასთან ერთად 25%—35% ეკონომიას იძლევა სათბობი მასალისას, რადგანაც მიმოსვლა უფრო ჩქარია და ერთი და იმავე ძალის ელექტრომატორი უფრო მსუბუქია ვიდრე ორთქლმავალი და მეტი ტვირთი მიაქვს აღმართზედ, ვიდრე იმავე ძალის ორთქლმავალს. რაიცა შეეხება მრეწველობას, განსაკუთრებით ელექტრომეტალურგიასა და ელექტროხიმიას, აქ ელექტრონული ენერგიის უპირატესობა უფრო დიდია. აქ სათბობი მასალის ეკონომია ორჯერ და ხან ხუთჯერ მეტია. გარდა ამისა ელექტრონულ ქურაში ყოველნაირი მადანი შეიძლება გადაიდნოს. აქ სითბო და ტემპერატურა შეიძლება მოწესრიგდეს საჭიროების მიხედვით; მადანი ბევრად უფრო სუფთა გამოდის ქურიდან, ვიდრე ნახშირის, კოკსის ან ნავთის ხმარების დროს. ქურის შესაკეთებელი ხარჯები მცირეა, რადგანაც მთელი სითბო გასაძნობ მადანშია შეგროვილი და ქურის კედლებს არ აზიანებს; მუშა ხელი შემცირებულია, რადგანაც არ არი საჭირო მადნის დაფხვნა ან დაფქვა; ქურა უფრო მეტ % ლითონს იძლევა დადნობის შემდეგ; საჭირო არ არის აქ ჰაერის შესაბერი მანქანები, როგორც ქვანახშირის ან კოკსის ხმარების დროს.

ელექტრონის ენერგიამ დიდი ცვლილება შეიტანა თანამედროვე ინდუსტრიაში; ჩვენში მადნეულობის მდებარეობა, მათი წვრილ ძარღვევად და ბუდეებად დანაწილება მიწის წიაღში უტყუარად გვიმტკიცებს, რომ მათი ეკონომიურად დამუშავება შესაძლებელია მხოლოდ იაფი ელექტრონის ენერგიის, ანუ, როგორც ინდუსტრიაში ეძახიან, თეთრი ნახშირის საშვალებით.

## 2.

ქვანახშირი, რომელსაც სამრეწველო მნიშვნელობა აქვს, ჩვენი რესპუბლიკის ორ რაიონშია: ტყიბულსა და ტყვარჩელში.

ტყვარჩელისა და ტყიბულის ქვანახშირი გეოლოგიურად ერთი და იმავე ფორმაციისაა, ღირსებითაც ერთი მეორისაგან დიდად არ განსხვავდება. ტყვარჩელის ქვანახშირის რაოდენობა ცხრა მილიარდ ფუთამდის არის გამოანგარიშებული, ტყიბულის ქვანახშირის რაოდენობა კი ნავარაუდევია ხუთ მილიარდ ფუთამდე; ასე რომ ამ ორ რაიონში. ჩვენ გვაქვს დაახლოვებით 14 მილიარდამდე ფუთი ნახშირი; ამას შეგვიძლიან მივუმატოთ მესამე რაიონი არტაანის ოლქში, სადაც ნახშირის რაოდენობა ნავარაუდევია ერთ მილიარდ ფუთამდე; თუმცა ეს ნახშირი დაბალი ხარისხისაა, მაგრამ ამ მხარისათვის თავის დროზედ დიდი მნიშვნელობა ექნება. სათბობ მასალათა შორის არ შეგვიძლიან არ დავნიშნოთ ტორფის (მიწანდარის) მნიშვნელობა; სენაკის მაზრაში, ზღვის ახლო, ტორფიანი ჭაობების დიდი სივრცეა. როდესაც ჩვენი მიწად-მოქმედების სამინისტრო ან სენა-

ქის მაზრის ერობა ამ ქაობების დაშრობას შეუდგება, მათ წინ დაუდგებათ ტორფის ექსპლუატაციის საკითხი; ეს ვებერთელა ქაობიანი სივრცე, რომლის სიღრმე სამ საუენს აღემატება, გაშრობის შემდეგ, არამც თუ გამოსადევი იქნება ყოველნაირი კულტურული მეურნეობისათვის, იგი უხვსა და იაფ სათაშობ მასალასაც მოგვცემს. დამუშავებული ტორფის ერთი კუბიკური საუენი 30 ფ-ს მშრალ ტორფს იძლევა; თუ ტორფიანი ადგილების სივრცეს ათიათასს დესეატინას ვიანგარიშებთ, მაშინ ჩვენ გვექნება გამშრალი სახმარებელი ტორფი ორი მილიარდი ას სამოცი მილიონი ფუთი ( $10,000 \times 2400 \times 3 \times 30$ ); ასე რომ შავი ნახშრის სახით სათაშობი მასალა ჩვენს ტერიტორიაზედ ვეკონია დაახლოვებით 19 მილიარდი ფუთი.

ამ უამად ჩვენთვის ყველაზედ უფრო საინტერესო და საყურადღებოა ტყიბულის ქვანახშირი, რადგანაც მისი მოხმარება დღევანდელ პირობებში ჩვენთვის შესაძლებელია და ადვილი მოსახერხებელი; ტყიბულის ქვანახშირი რამდენიმე ფენებისაგან (პლასტებისაგან) შესდგება; ჯერ კიდევ დანამდვილებით არ არის გამორკვეული ამ პლასტების სიღრმე, რადგანაც ამის შესაფერისი მუშაობა ტყიბულში არ დაწყებულია; პლასტების საერთო სისქე 5 საუენიდან 7 საუენამდის არის; ზოგიერთი პლასტების ქვევით რკინის მადანიც ჩნდება. სხვა და სხვა სიღრმეზედ ტყიბულის ნახშირის ღირსებაც იცვლება: ზოგან ნაკლებ ნაცრიანსა და კარგ მაგარ ნახშირს იძლევა, ზოგან კი ზედმეტი ნაცრიანი და ნაკლები ღირსების ნახშირია; მისი შემადგენელობა საშუალოდ ასეთია: მქროლავი ნივთიერება 30%—38%<sup>1</sup>/<sub>6</sub>; ნაცარი 10%—15%<sup>1</sup>/<sub>6</sub>; წყალი 0,5%<sup>1</sup>/<sub>6</sub>—1%<sup>1</sup>/<sub>6</sub>; კოლჩედანი—1,5%<sup>1</sup>/<sub>6</sub>; სითბოს ენერგია 6000—7000 კალორი; ნახშირის ხარისხი და თვისება პლასტების მიხედვითაც სხვა და სხვანაირი ხდება, მაგრამ საერთოდ ნახშირი სამ ხარისხად დაყოფთ.

პირველი ხარისხის ნახშირი მაგარია და მბრწყინავი შავი ფერი აქვს; ეს ნახშირი ყოველივე საჭიროებისათვის კარგი სახმარებელია, გძელ ალს იძლევა და კარგად იწვის; არც გარეცხვა უნდა და არც გაწმენდა; მეორე ხარისხის ნახშირს მკენარეების ფურცლები და ძირები ურევია ნაკლებად მაგარია და მკრთალი შავი ფერი აქვს; მესამე და დაბალი ხარისხის ნახშირი მიწიანია და ადვილათ იფხვნება; ამას გაწმენდა და გარეცხვა სჭირდება. ბევრათ უფრო რაციონალურია ფხვნილი ნახშირით ბრიკეტების და აგლომერატების დამზადება. ტყიბულის ნახშირი ბლომად გაზს იძლევა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქიმიური წარმოების განვითარებაში.

ტყიბულის ნახშირის დამუშავების მოკლე ისტორია ასეთია: ნახშირის დამუშავება დაიწყო წარსული საუკუნის ოთხმოცდახუთ წლებში, როდესაც ნოვოსელსკიმ ტყიბულის მემამულეებსა და გლეხებისაგან 304 დეს. ნახშირიანი მიწა შეიძინა; დამევე წლებში ნოვოსელსკის მოსახლვრედ იმავე მემამულეებისაგან ერთმა ტფილისელმა ვაჭარმა შაბჟოროვმა 900 დესეტინა მიწა შეიძინა. აი მიწის ამ ორ ნაქერზედ დაიწყო ნახშირის დამუშავება.

1890 წლებში ნოვოსელსკის ნახშირის წარმოება ხაზინამ ჩაიბარა; შაბუროვის წარმოებაც ტფილისელ ბანკების ამხანაგობამ „ნახშირამ“ შეიძინა; 1913 წლიდან ამხ. „ნახშირამ“ ხაზინის ნახშირის მადნებიც იჯარით აიღო დასამუშავებლად და 1917 წლის ივლისამდე ის ამუშავებდა; ომამდის ტყიბულის ქვანახშირის მოთხოვნილება ბაზარზედ ნაკლები იყო; ომის დროს, როცა ნახშირის მოთხოვნილება განუზომელი შეიქნა, მის დამუშავებას დიდი ყურადღება მიაქციეს და ამ მიზნით სამხედრო უწყებამ მთელი ტყიბულის ნახშირის წარმოება ხელში აიღო; 1917 წლის ექვს თვეში სამი მილიონი ფუთი ნახშირი დამუშავდა, ტყიბულში; წასული წლის ზაფხულიდან კი ტყიბულის წარმოება საქართველოს დემოკ. რესპუბლიკის ხელში გადავიდა.

## 3.

ქვანახშირი ინდუსტრიის შავი პურიად, ამბობენ; მეცხრამეტე საუკუნის ინდუსტრიის განვითარება ქვანახშირის საშუალებით მოხდა და დღეს უმაღლეს ხარისხამდე მიაღწია; მართალია მას მეტოქე აღმოუჩნდა „თეთრი ნახშირის“ სიხით, მაგრამ ქვანახშირი კიდევ დიდხანს დარჩება, როგორც საუკეთესო იაფი სათბობი მასალა მრეწველობის განვითარებისათვის; ამასთან ქვანახშირის ქიმიური შემადგენლობა ისეთია, რომ გარდა სითბოსა, ის ბევრს ისეთ მასალებს ან პროდუქტს იძლევა, რომლითაც თანამედროვე სამრეწველო ქიმიას საფუძველი ჩაუყარა. როცა ქვანახშირი პირდაპირ იწვის ლუმელში ან ქურაში მისი სითბოს ენერგია იმდენად დიდია, რამდენად მეტია მასში ნახშირბადე და ნაკლებია მქროლავი ნივთიერება ე. ი. მეტანი ან ქაობის გაზი, აზოტი, მეთაბადი და სხვა. მაგალითად ანტრაციტი-ნახშირბადე 80%—90% აღწევს; მქროლავი ნივთიერება 10%—15% არ აღემატება, ამისათვის ის იწვის კარგად, მოკლე ალი აქვს და დიდ სითბოს იძლევა; რამდენად ქვანახშირში ნახშირბადე კლებულობს და მქროლავი ნივთიერება მატულობს, იმდენად ნახშირის სითბოს ენერგიაც კლებულობს; როცა ნახშირში მქროლავი ნივთიერება 18%—30%—მდის აღწევს, მისგან კოკს ამზადებენ; ის კარგ მაგარ კოკს იძლევა, ასეთ ნახშირს—კოკსის ნახშირს უწოდებენ; ამისათვის ნახშირს გაახურებენ გერმეტიულად დახურულ სპეციალურ ქურაში. როცა ნახშირი ძალიან გახურდება და წითელ ფერს მიიღებს, მას შორდება მქროლავი ნივთიერება, რომელსაც ცალკე აგროვებენ და მისგან გაზს ამზადებენ; ქურაში კი რჩება კოკსი, რომელშიაც იმდენად მეტია ნახშირბადე, რამდენათ ის დიდი იყო თვით ქვანახშირში. კოკს ისეთივე თვისება აქვს, როგორც ანტრაციტი და ისეთივე სახმარებელი საწვავი მასალაა, როგორც ანტრაციტი; ამისათვის შეგვიძლიან ვთქვათ, რომ კოკსი ხელოვნური ანტრაციტია, ან და ანტრაციტი ბუნებრივი კოკსია. ტყიბულის ქვანახშირში მქროლავი ნივთიერება, როგორც ვსთქვით, 30%—38% აღწევს, ნახშირბადე კი 58%—70%—მდის,

ასე რომ ეს ნახშირი ნაკლებ კოკს იძლევა; შესაძლებელია ზოგიერთმა პლასტიკმა (ფენებმა) კარგი კოკსის ნახშირიც მოგვეცეს, მაგრამ საერთოდ უნდა ვსთქვათ, რომ ტყიბულის ნახშირი კარგი კოკსის ნახშირი არ არის. სამაგიეროდ ის მოგვეცემს ბლომად გაზს; ამ გაზის დასამზადებლად იგი რაც შეიძლება მეტი უნდა მოვიხმაროთ.

გაზს საზოგადოდ ქვანახშირიდან სამნაირად ამზადებენ: როცა უნდა ქვანახშირიდან კოკსის გამოწვა, აქ კოკსის გარდა სხვათაშორის გაზსაც აგროვებენ, სწმენდენ და სხვა და სხვა საჭიროებისათვის ხმარობენ, ასეთ გაზს კოკსის გაზს უწოდებენ; როცა უნდათ ქვანახშირიდან ქალაქის გასანათებლად გაზი დაამზადონ, აქ სხვათაშორის კოკსაც ღებულობენ, მაგრამ კოკსი დაბალი ხარისხისაა, ამ გაზს ქალაქის გაზს უწოდებენ.

დასასრულ, გაზს ამზადებენ სპეციალურ აპარატებში, გაზის გენერატორებში; ასეთ გაზს ლარიზ გაზს ეძახიან; ამ სამნაირ გაზს სხვა და სხვანაირი სითბოს ენერგია აქვსთ, მაგრამ ყველა ერთნაირი საჭიროებისათვის იხმარება: როგორც გათბობისათვის ისე განათებისათვის და აგრეთვე როგორც მამოძრავებელი ძალა გაზის მანქანებში. გაზის დასამზადებელ გენერატორებში ყოველნაირი ხარისხის ნახშირი იხმარება, თითქმის ისეთიც, რომელიც პირდაპირ საწვავად ლუმელში გამოსადეგი არ არის; რაც უნდა კარგი ღირსების იყოს ქვანახშირი, როცა მას პირდაპირ საწვავად ლუმელში, მისი სითბოს ენერგიის მხოლოდ 10%—25% ვსარგებლობთ; დანარჩენი სითბო უსარგებლოდ იკარგება. თუ ქვანახშირს გაზად იაქცევთ და ამნაირად ეიხმართ სათბობ მასალად, მაშინ მთელი მისი სითბოთი ვსარგებლობთ; აქედან ცხადი ხდება სათბობი მასალის დიდი ეკონომია.

თუ გაზის გათბობას ქვანახშირით ან კოკსის გათბობას შევადარებთ, გაზის შემდეგ უპირატესობას დავინახავთ: 1) გაზი ვაცილებით მეტ სითბოს იძლევა და დიდ ტემპერატურას, ვიდრე ქვანახშირი ან კოკსი, 2) შესაძლებელია გაზის დასამზადებლად დაბალი ხარისხის ქვანახშირის ხმარებაც, 3) გათბობა ძალიან ჩქარა ხდება, რადგანაც დიდ ტემპერატურას და დიდ სითბოს იძლევა; ამასთანავე შესაძლებელია სითბოს ადვილად მოწესრიგება, 4) დაწვა სრული ხდება და დაწვისათვის არ არის საჭირო ბევრი ჰაერი, 5) მუშა ხელი შემეცირებულია, რადგან არ არის საჭირო ლუმელიდან ნაცრის და ნაგავის გამოღება ან ქვანახშირის და კოკსის შეყრა. ერთი სიტყვით უპირატესობა დიდია და ამისათვის ყოველნაირ სამრეწველო დარგში, სადაც ქურებს ხმარობენ, როგორც მაგალითად: მეტალურგიაში, კერამიკაში, შუშების ქარხნებში და სხვა. გაზით ვახურება პირველ ალავს იჭერს და დღითი დღე ვითარდება; დიდი ქალაქების ცენტრალური გათბობა და განათებაც დღეს მოწყობილია გაზით, განსაკუთრებით ინგლისში და გერმანიაში გაზის ტენიკა უმაღლესად ვანვითარებულია და გაზის განათება დიდ მეტოქეობას უწევს ელექტრონულ განათებას. ორთქლის ქვაბის გახურებაც უფრო ეკონომიურია გაზით ვიდრე პირდაპირ ქვანახშირით;

ელექტრონის ენერჯის მიღებაც, რომელსაც ქალაქების განათებისათვის ხმარობენ, უფრო ეკონომიურია გაზის საშვალობით ვიდრე ქვანახშირითა და ორთქლით. გარდა ამისა, როცა გაზს ამზადებენ, გასაწმენდათ მას წყალში ატარებენ, სადაც სტოვებს კუბრსა და ამიაკს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქიმიურ მრეწველობაში. კუბრს ან პირდაპირ ხმარობენ, ან და აღულებენ; მაშინ იგი იძლევი სხვა და სხვა ნივთიერებას: ბენზინს, ნავტალინს, ასეტელენს და სხვა, რომლიდანაც ამზადებენ შემდეგ სხვა და სხვა საღებავებს და ასაფეთქებელ ნივთიერებას, იქვე რჩება ფისი, რომელსაც ხმარობენ ფხვნილი ქვანახშირიდან ბრიკეტების (აგურების) და აგლომერატების დასამზადებლად, მძიმე ზეთს, რომელსაც მანქანებისთვის ხმარობენ. ამიაკიდან ამზადებენ მიწის სასუქ მასალას, რომელსაც მეურნეობაში დიდი მოთხოვნილება აქვს. ერთი სიტყვით ქვანახშირის გაზად გარდაქცევა ანვითარებს ქიმიური მრეწველობის სხვა და სხვა დარგებს. ტფილისი, სადაც ბევრი სათბობი მასალა იხარჯება სხვა და სხვა საჭიროებისათვის, საუკეთესო ალაგია გაზის ქარხნის მოსაწყობად.

ყველა ზემონათქვამიდან დაესკვნიტ შემდეგს: საწარმოო ძალთა განვითარებისათვის აუცილებლად საჭიროა სათბობი მასალის ყველა საშვალე-ბანი გამოვიყენოთ. ჩვენ არაფერი გვითქვამს ნავთზედ; ჩვენში ბევრია ნავთის ნიშნები, მაგრამ უმეტეს ნაწილად ეს შედეგია ჰიდროკარბიური ნივთიერების გადადნობისა მიწის წიაღში, საიდანაც აქა-იქ კუბრი გამოჟვანავს ხოლმე. ასეთ ნიშნებს არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს; გურიის და კახეთის ნავთიანი ადგილები საიმედო ნიშნებს იძლევიან, მაგრამ მათი ამ ჟამად გამოკვლევა და საექსპლუატაციოთ მომზადება დიდ დროსა და ხარჯებს მოითხოვს, რაც დღევანდელ ფინანსიურ პირობებში ჩვენი რესპუბლიკისათვის შეუძლებელია. მაშასადამე, ჩვენ ამ ჟამად ისეთი სათბობი მასალა უნდა დავამუშაოთ და გამოვიყენოთ, რომელიც ყოველნაირ ხარჯებს ერთი-ათად ავგინახლაურებს მოკლე დროში. ასეთია თეთრი ნახშირი, ქვანახშირი, ტორფი და შეშის ნახშირი.

ინჟ. ივ. მექმარიაშვილი.

## წერილები საქალაქო სანიტარიის შესახებ.

### I.

საექიმო-სასანიტარო მოღვაწეობის და სამკურნალო მედიცინის მიზნები ქალაქებში.—მათი ორგანიზაციის ტიპები.

საზოგადოების ნორმალური განვითარება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც მისი წევრები ფიზიკურად ჯან-საღები არიან. ამით ცხადი ხდება, რომ საქალაქო საზოგადოებრივმა თვითმართველობებმა უმთავრესი თავისი ყურადღება მცხოვრებთა ფიზიკურ ჯანსაღობას უნდა მიაქციონ. მოღვაწეობა ამ მხრით უნდა გამოიხატოს ისეთი მტკიცე აპარატის შექმნაში, რომელსაც შეეძლება და საშუალება ექნება ქალაქის მცხოვრებთა დახმარების მასიური მოთხოვნილებათა დააკმაყოფილოს. ამისთანა აპარატებია საექიმო-სასანიტარო და სამკურნალო ორგანიზაციები. პირველი ტიპის ორგანიზაციებმა უნდა მოსპონ ის პირობები, რომლებიც ავადმყოფობის გაჩენასა და განვითარება-გავრცელებას ხელს უწყობენ, ეპიდემიური სატკივარის გაჩენის დროს უნდა შეეცადნენ მათს ლოკალიზაციას და გადამდები სენის საბუდარის მოსპობას; მეორე ტიპის ორგანიზაციათა მიზანი კია საექიმო დახმარება როგორც შინ წამლობით, ისე საავადმყოფოებისა და ამბულატორიების საშუალებით. სასანიტარო და მკურნალმა ექიმებმა, რომლებიც ამ ორგანიზაციების სათავეში სდგანან და, თანახმად იმ სხვადასხვანაირი მიზნებისა, რომლებსაც ეს ორგანიზაციები ისახევენ, სათანადო მიმართულებას აძლევენ მათს მოღვაწეობას, უნდა თავიანთი ფუნქციები სასტიკად განსაზღვრონ, მაგრამ ამასთანავე ერთად ერთგვარი კანტაქტი უნდა დაამყარონ უთიერთშორის. აქედან შემდეგი უდავო დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ: სამკურნალო მეცნიერების თვალსაზრისით სასანიტარო და მკურნალები ექიმების მოვალეობათა ერთმანეთში არევა ყოველად შეუძლებელია.

იმ პირობების მოსასპობად, რომლებიც ხელს უწყობენ ავადმყოფობის გაჩენასა და გავრცელებას, საჭიროა ქალაქის გცხოვრებთა საერთო პირობების გაჯანსაღების საშუალებით. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ზომათა მთელი რიგის მიღება, რასაც საქალაქო საზოგადოებრივი თვითმმართველობანი საექიმო-სასანიტარო ორგანიზაციების საშუალებით ანხორციელებენ. ამ ზომათა შორის უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია ქუჩებისა, მოედნებისა და ეზოების მოკირწყვა, ზაფხულობით ქუჩების მორწყვა, ხეების გაშენება ქუჩებში და საზოგადოთ ჰაერის სუფთად შენახვა. თუ ეს ზომები განხორციელებულ არ არის, ქალაქების ტერიტორიაზე ჰაერი მუდამ ავადმყოფობის გამავრცელებელი მიკრო-ორგანიზმებით იქნება სავსე.

საექიმო-სასანიტარო ორგანიზაციათა მეორე და უმთავრესი მიზანია

ბინის საკითხის მოწესრიგება. ის შეჯგუფება, ანტისანიტარული პირობები, რომლებშიაც უხდება ცხოვრება ქალაქის მცხოვრებლებს, განსაკუთრებით კი მის უღარიბეს ნაწილს, ეპიდემიური ავადმყოფობის გავრცელების ერთი უმთავრესი მიზეზთაგანია. საკმარისი სინათლე, საკმარ ჰაერი და სისუფთავე, — აი ელემენტარული მოთხოვნებიანი ჰიგიენისა, ურომლისოდაც ბინის საკითხის გადაწყვეტა ყოვლად შეუძლებელია. ამ მოთხოვნებთანა აღსასრულებლად საექიმო-სასანიტარო ორგანიზაციები უნდა შეეცადნენ, რომ ბუნებათა გეგმები არ დამტკიცდეს იმ დრომდე, სანამ სასანიტარო ექიმი არ წარმოადგენს თავის დასკვნას, რამდენად შესაფერისია ეს შენობა საცხოვრებლად. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს თავშესაფარ სახლებს, რომელთა მდგომარეობაც უმეტეს წილად ძალიან ანტისანიტარულია ხოლმე და რომლებიც სწორედ ამიტომ გადამდებ. სნეულებათა უმთავრეს გამავრცელებლად უნდა ჩითვალნენ. ამ თავშესაფარების პატრონებს უნდა მოეთხოვოს, ყველა ჰიგიენურ პირობათა დაცვა, სისტემატიური დეზინფექციისა და დეზინსექციის მოხდენა; უნდა გაიმართოს სახალხო აბანოები და საქალაქო სამრეცხავოები. ყველა-ამ ზომის განხორციელება ხელს შეუწყობს ბინის საკითხის გადაწყვეტას.

მრეწველობის მხრით განვითარებული ქალაქები ისეთი ცენტრებია, სადაც მუშათა დიდი რიცხვი გროვდება.

ანტიჰიგიენური პირობები შრომისა და ცხოვრებისა ქარხნებში აგრეთვე ხელს უწყობენ გადამდებ სნეულებათა გავრცელებას მუშათა შორის, საიდანაც შერე ავადმყოფობა მცხოვრებთა დანარჩენ ნაწილსაც ედება. ამიტომ საჭიროა ნიადაგისა და სასმელი წყლის სუფთად შენახვა, განსაკუთრებული, ჰიგიენურად მოწყობილი სადგომების აშენება როგორც მუშებისთვის ქარხნებში, ისე ლარბ მცხოვრებთათვის — ქალაქებში. ყველაფერი ეს სასანიტარო ექიმის მოღვაწეობისა და მზრუნველობის საგანს უნდა შეადგენდეს.

ძალიან ბევრი ავადმყოფობის გავრცელება, როგორცაა, მაგზლითად, ხოლერა, მუცლის სახადი და დიზენტერია, სავსებით წყლის ღირსებაზე დამოკიდებული. ამიტომ გადამდებ სნეულობასთან საბრძოლველ საშუალებათა შორის უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს სასმელი წყლის ღირსებისა წყლის გასაწმენდ საშუალებათა გამოკვლევას. ესეც სასანიტარო მოქმედების მთავარ საგანს უნდა შეადგენდეს. ამ საკითხთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ნიადაგის გაწმენდა ყოველნაირი უწმინდურობისაგან. ამიტომ ქალაქის თვითმმართველობებმა უნდა მოითხოვონ კანალიზაციის მოწყობა იქ, სადაც იგი არ არის, მოწესრიგება სპასენიზაცია საქმისა და ამ უკანასკნელის მუნიციპალიზაცია.

თუ სასმელი წყლის ღირსებას დიდი მნიშვნელობა აქვს გადამდებ სნეულებათა წინააღმდეგ ბრძოლაში, არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს საქმელის ღირსებასაც. საზოგადოების რაციონალური მოწყობა და საბეითლო

ზომების მიღება, სუფთათ შენახვა საკმელისა ბაზრებსა და სავაჭროებში, ფალსიფიკაციის თავიდან ასაცილებლად სისტემატიური გამოკვლევა პროდუქტებისა ქალაქის ლაბორატორიებში,—აი საითკენ უნდა იყოს მიმართული საექიმო-სასანიტარო ორგანიზაციების მოღვაწეობა.

ცხოვრების მძიმე პირობები ქალსაც აიძულებენ პატრიაჩკალური კერა დასტოვოს და ქარხნებსა და სახელოსნოებში ეძებოს შრომა. ისინი ძალიან ხშირად მოკლებულნი არიან საშუალებას თითონ გაზარდონ ბავშვები, იგრვე სოციალური პირობები იწვევს, ეგრედწოდებული უკანონო შვილების გაჩენას, რაიც თავის მხრით ბავშვთა სიკვდილის პროცენტის ზრდას ხელს უწყობს. ამ სენთან ბრძოლა საჭიროა საზოგადოებრივი თავშესაფარების დაარსებითუპატრონო და ლარიბი მშობლების ბავშვთათვის.

სანიტარული მზრუნველობის საგანს უნდა შეადგენდეს აგრეთვე თვალყურის დევნა, რომ მოსწავლენი ცუდი განვლენის ქვეშ არ იზრდებოდნენ, ფიზიკურად განვითარებული იყვნენ, უზნეო ჩვეულებები არ დასჩემდეთ და სხვა.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილი ზომები სასანიტარო ექიმებმა უნდა მიიღონ მცხოვრებთა ჯანსაღობის დასაცავად ეპიდემიის თავიდან ასაცილებლად. ეპიდემიის დროს კი საექიმო-სასანიტარო ორგანიზაციების მთელი მოღვაწეობა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ იგი არ გავრცელდეს და რაც შეიძლება მალე მოისპოს, მოხდეს მისი ლოკალიზაცია. ამისათვის საჭიროა დაავადმყოფებულთა წესიერი რეგისტრაცია, ავადმყოფების იზოლაცია და დეზინფექცია სადგომებისა, სადაც ავადმყოფები იყვნენ. მცხოვრებთა ნდობით აღჭურვილ ქალაქის საუბნო ექიმების საკმაო რიცხვს შეუძლიან აწარმოვოს ასეთი რეგისტრაცია, კარგად მოწყობილი სადეზინფექციო კამერა თავისი განსაკუთრებული მესაღები ოთახითა და სასადილოთი საშუალებას მოგვცემს სწრაფი დეზინფექცია და დეზინსეცია მოვახდინოთ, იზოლაცია კი შეიძლება კარგად მოწყობილი საბავშვო-ბავშვების საშუალებით.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილი ზომები, რომლებიც მცხოვრებთა გაჯანსაღებასა და ეპიდემიებთან ბრძოლას ემსახურებიან, შეიძლება მხოლოდ თვით მცხოვრებთა თვითმოქმედებით განხორციელდეს. მართო იძულებითი ზომებით საექიმო-სასანიტარო ორგანიზაციები მიხანს ვერ მიაღწევენ. თვითმოქმედებას კი საზოგადოება მხოლოდ მაშინ გამოიჩენს, როდესაც იგი დარწმუნებული იქნება, რომ საექიმო-სასანიტარო ორგანიზაციების მიერ დასახული საშუალებანი ბრძოლისა მართლა ხელს უწყობს მცხოვრებთა გაჯანსაღებას. ამისათვის კი საჭიროა ჰიგიენური ცოდნის გავრცელება, გამოცემა პაპულიარული წიგნაკებისა, ლექციების კითხვა, ჰიგიენასა და სანიტარიის შესახებ, საუბარის გამართვა და სხვა. საექიმო-სასანიტარო ორგანიზაციებმა ამასაც დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ. მცხოვრებთა თვითმოქმედების მეორე პირობად უნდა ჩაითვალოს სასანიტარო მზრუნველობის ინსტიტუტის შექმნა. მცხოვრებთა მიერ არჩეული სასანიტარო



მზრუნველები აუცილებლად საექიმო-სასანიტარო ორგანიზაციების წევრები უნდა იყვნენ. მცხოვრებთა ნდობით აღჭურვილნი, ისინი მცხოვრებთა და საექიმო-სასანიტ. ორგანიზაციათა შემაერთებელს გრგოლად გადაიქცევიან და რიგად ყოველნაირ სასარგებლო ზომის განხორციელებას ხელს შეუწყობენ.

ასეთია საექიმო-სასანიტარო ორგანიზაციის მიზნები ქალაქთა გაჯანსაღების საქმეში. მთავარი ხელმძღვანელი ამ მოღვაწეებისა უნდა იყოს საბჭოს სასანიტარო ექიმი, მის დამხმარებლად კი—ჰიგიენური ლაბარატორია ბაქტერიოლოგიური და ქიმიური განყოფილებებით, სადეზინფექციო კამერა და სასანიტარო მზრუნველების ინსტიტუტი.

სამკურნალო მედიცინის მიზანი ქალაქებში იმაში მდგომარეობს რომ, ქალაქის მცხოვრებთა ყოველნაირი სახის საექიმო დახმარება წესიერად იყოს დაყენებული. მხოლოდ მაშინ მოიპოვებენ საქალაქო სამკურნალო დაწესებულებანი იმ ნდობას, ურომლისათაც ვერც ერთი მათგანი თავის დანიშნულებას პირნათლად ვერ შეასრულებს. საქმის კარგად დასაყენებლად კი უპირველესად ყოვლისა საჭიროა კარგად მოწყობილი სამკურნალოები და საავადმყოფოები სამშობიარო და გადამდებ სენიანთა განყოფილებებით. სამკურნალოებში ქალაქის მცხოვრებლებმა საამბულატორიო-საექიმო დახმარება უნდა მიიღონ; ავადმყოფების მიღების შემდეგ ექიმებმა სტაციონარული ავადმყოფები სახლშიაც უნდა ინახულონ. საავადმყოფოები იმ ვარაუდით უნდა იყოს მოწყობილი, რომ ყოველ ათას კაცზე ერთი საწოლი მოდიოდეს. ეპიდემიის გავრცელების დროს საავადმყოფებმაც უნდა გაათავოთვონ მოქმედება და გადამდებ სენით დაავადმყოფებულბსაც ემსახურონ.

კარგად მოწყობილი სამკურნალო დაწესებულებანი საამბულატორიო წამლობისათვის, საავადმყოფოები გადამდებ სენიანთა და სამშობიარო განყოფილებებით, საბჭოს ექიმები, რომლებიც საამბულატორიო საექიმო დახმარებასაც აძლევენ და სახლშიაც სწამლობენ,—აი რანაირი უნდა იყოს წესიერად მოწყობილი საექიმო დახმარება. წამლობა ყოველ შემთხვევაში უფასო უნდა იყოს.

საექიმო-სასანიტარო ორგანიზაციების მოღვაწეობის გასაერთიანებლად და შესათანხმებლად უნდა დაარსდეს საექიმო-სასანიტარო საბჭო; საბჭოში უნდა შევიდნენ წარმომადგენელნი მკურნალი ექიმებისა, სასანიტარო ექიმებისა, სასანიტარო მზრუნველებისა, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური ლაბარატორიების გამგენი და სადეზინფექციო კამერის გამგე. სასანიტარო საბჭოს სათავეში უნდა იდგეს ორი ინსპექტორი—ერთი სანიტარული, მეორე—სამკურნალო მედიცინის ნაწილისა. მათ მოვალეობას უნდა შეადგენდეს სასანიტარო საბჭოს მიერ დასახული ზომების განხორციელება, ზომებისა, რომლებიც შემუშავებული იქნება საექიმო-სასანიტარო განყოფილების მმართველი გამგეობის წევრის თანხმობით.

## ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის ოქმები.

1919 წ. 4 მაისის სხდომის ჟურნალი № 5.

თავმჯდომარეობდა: მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ზ. ელიავა. სხდომას დაესწრნენ: თავმჯდომარის ამხანაგი მ. ი. რუსია, კომიტეტის წევრები: ა. რ. ჯაჯანაშვილი, პ. კ. გოგუა, კორძაია, ს. გ. მდივანი, მურვანიძე, ბ. გ. ჩხიკვიშვილი, ბ. ნ. შარაშენიძე და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ა. ა. პაპავა.

კომიტეტის მდივანი ე. ა. მაღლისონი.

სხდომის გახსნისთანავე მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ზ. ელიავამ მთავარი კომიტეტის წევრებს აღმასრულებელი ბიუროს მოღვაწეობა გააცნო, აღნიშნა, რომ ქალაქთა კავშირის მოღვაწეობა ნორმალურად მიმდინარეობს და ფართოვდება. ამასთანავე ერთად, მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ზ. ელიავა, შეეხო დამფუძნებელი კრების უკანასკნელ ხანის მოღვაწეობას და აღნიშნა, რომ მორიგ საკითხად სდგას სამი კანონ-პროექტი: ქალაქებში აგრარული კანონის გავრცელებისა, იძულებითი ჩამორთმევისა და სადგომებისა და შენობებზე განსაზღვრული ფასის დადებისა.

კომიტეტის წევრმა პ. კ. ჯაფარიძემ სურვილი გამოთქვა, რომ დაჩქარებულ იქმნას ქალაქთა საბიუჯეტო უფლების კანონ-პროექტის შემუშავება, კომ. წევრს მურვანიძეს კი საჭიროდ მიაჩნია გამოიკვეს. რა ტრაქტების ექსპლოატაციას აპირებს ახლად დაარსებული სატრანსპორტო საზოგადოება, რომლის მონაწილეც სახელმწიფო არის, და, ექსპლოატაცია და ფოსტის გადაზიდვა ამ ტრაქტებით ხსენებული საზოგადოების მონაპოლიურ უფლებას ხომ არ შეადგენს.

კომიტეტის წევრმა ბ. ნ. შარაშენიძემ აღძრა საკითხი იმის შესახებ რომ ბოლო ხანებში ძალიან გახშირდა ხელშეკრულებათა დარღვევა, რადგანაც პატარა ჯარიმები აღარაეის აშინებს და აბრკოლებს.

კომ. წევრი მურვანიძე, ბ. ნ. შარაშენიძის ცნობას ადასტურებს და სურვილს გამოთქვამს ეს საკითხი დღიურ წესრიგში იქმნეს შეტანილი. საკითხი შეტანილ იქმნა დღიურ წესრიგში.

შემდეგ კრებას მოხსენდა აღმასრულებელი ბიუროს 1918 წლის 7 ქრისტეშობისთვის დადგენილება, რომლის ძალითაც ქალაქთა კავშირის მოსამსახურეებს უნდა აღმოეჩინოს საექიმო დახმარება იმავე წესით, როგორც ეს ხდება ტფილისის თვითმართველობაში.

ამ საკითხის გამო მსჯელობაში მონაწილეობა მიიღეს მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ზ. ელიავამ, თავმჯდომარის ამხ. მ. ი. რუსიამ კომიტეტის წევრებმა: ს. გ. მდივანმა, ბ. გ. ჩხიკვიშვილმა, მურვანიძემ, ბ. ნ. შარაშენიძემ, პ. კ. ჯაფარიძემ და კომიტეტის მდივანმა ე. ა. მაღლისონმა.

**დადგენილ საქმნა:** აღმასრულებელი ბიუროს 1918 წლის 7 ქრისტე-შობისთვის დადგენილება დამტკიცდეს, მიღებულ იქმნას იგი სახელმძღვანელოდ იმ დრომდე, მინამ ტფილისის ქალაქის თვითმართველობა მას არ გადასინჯავს და არ შესცვლის.

შემდეგ კომიტეტმა მოისმინა მდივნის **მადლისონის** მოხსენება სალიკვიდაციო საქმეების გამო საკონტროლო კომიტეტის დაარსების შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღეს: მთავარი კომიტეტის თავმჯდომარემ **ნ. ზ. ელიავამ**, თავმჯდომარის ამხანაგმა **მ. ი. რუსიამ**, კომიტეტის წევრებმა: **ს. გ. მდივანმა**, **ბ. გ. ჩხიკვიშვილმა**, **მურვანიძემ** და **ბ. ნ. შარაშენიძემ**. **ნ. ზ. ელიავა**, **მ. ი. რუსია**, **ს. გ. მდივანი** და **ბ. გ. ჩხიკვიშვილი** იცავდნენ აღმასრულებელი ბიუროს თვალსაზრის რომელიც მოხსენებაში იყო გატარებული, **მურვანიძე** და **ბ. ნ. შარაშენიძე** კი იცავენ თვალსაზრის გუბერნიის შრომის კომისარისას, რომელიც 1918 წლის 14 იანვრის დეკრეტს ქალაქთა კავშირისათვის სავალდებულოდა სთვლის. **ბ. ნ. შარაშენიძის** აზრით, ქალაქთა კავშირი, როგორც განსაზღვრული მიზნებისათვის გაერთიანებული ორგანიზაცია, ქალაქების სავაჭრო და სამრეწველო საქმეებს ემსახურება, ამიტომ იგი სავსებით უნდა დაემორჩილოს დეკრეტსაო. კომ. წევრის **ბ. ნ. შარაშენიძის** თვალსაზრისი კომ. წევრმა **მურვანიძემ** განავითარა და აღნიშნა, ვინაიდან ქალაქთა კავშირი ქალაქთა თვითმართველობათაგან განსხვავდება იგი ძალა-უფლების მატარებელი არის, ამიტომ იგი აუცილებლად დეკრეტის ძალას უნდა დაემორჩილოსო.

კომ. წევრი **ბ. გ. ჩხიკვიშვილი** აღმასრულებელი ბიუროს თვალსაზრის იზიარებს და აღნიშნავს, საჭიროა, როგორც ეს სამართლიანად აღნიშნა მოხსენებელმა, ანგარიში გაუწიოს კანონის ტექსტსაო. მხოლოდ რაიცა შეეხება იმ საკითხს, საჭიროა თუ არა დეკრეტის გაგრძელება დაწესებულებებზედაც, ამის გამორკვევა საკანონმდებლო დაწესებულების კომპეტენციას შეადგენს და ამიტომ შრომის კომისარის თვალსაზრისი მისაღები არ არის.

თავმჯდომარის **ამხ. მ. ი. რუსია** აღმასრულებელი ბიუროს თვალსაზრის იცავს, აღნიშნავს, რომ ქალ. კავშირი, **ე. ი. მისი** ცენტრალური სამმართველო თავის დაწესებულებათა მიმართ უნდა ჩაითვალოს ადმინისტრაციად; გარდა ამისა მიზან-შეწონილების მხრითაც სასურველი არ არის, რომ 1918 წ. 14 იანვრის დეკრეტის ტექსტს დავმოზღვეოთ.

კომ. წევრი **ს. გ. მდივანი** აღნიშნავს, რომ ქალაქთა კავშირზე არი საჯარო-უფლებრივი კავშირი, ეს ყოველივე ექვს გარეშეა, რადგანაც მის შექმნაში მონაწილეობა ქალაქებსა **ე. ი. საჯარო-უფლებრივ** ორგანიზაციებს აქვს.

მთავ. კომიტეტის თავმჯდომ. **ნ. ზ. ელიავამ** მსჯელობა დაასკვნა და თავისი მხრით დაუმატა, ქალაქთა კავშირი ქალაქთა დებულების ძალით არსებობს და აუცილებლად საჯარო-უფლებრივი ხასიათის იურიდიული

პიროვნება. ქალაქთა კავშირს აუცილებლად ჰქონდეს, ან აქვს თავისი საწარმოვო დაწესებულებანი, მაგრამ ამით თვით ქალაქთა კავშირი, როგორც ასეთი არ შეიძლება მწარმოებლად გადაიქცეს. ქალაქთა კავშირს აქვს მთავრობის მიერ დადასტურებული წესდება და ხშირად მთავრობის მიერ დაკისრებულ ისეთ საქმეებს აკეთებს, რომელთაც წარმოებასთან არაერთა-რი საერთო არა აქვთ.

**დადგენილ იქმნა:** დამტკიცებულ იქმნას მოხსენება და დაარსდეს საკონტროლო კომიტეტი მხოლოდ ქალაქთა კავშირის სამრეწველო დაწესებულებებში, თანახმად 1918 წლის 14 იანვრის დებულების მე-5-თე §-ის მეორე შენიშვნისა.

შემდეგ მოხმენილ იქმნა ექიმ **მაღალაშვილის** მოხსენება-მოსამსახურეთა საექიმო დახმარების აღმოჩენისა, თანახმად აღმასრულებელი ბიუროს დადგენილებისა.

**დადგენილ იქმნა:** პრინციპალურად დადასტურდეს; დაწვრილებითი განხილვა გადაიდოს იმ დროისათვის, როდესაც კომიტეტს მოხსენდება 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

ჟურნალ „ექიმის“ შუამდგომლობის გამო, რომელიც ქალაქთა კავშირსა სთხოვს ათი ათას მანეთის სუბსიდიას, **დადგენილ იქმნა:** თხოვნა დაკმაყოფილდეს.

კომიტეტს მოხსენდა აღმასრულებელი ბიუროს ა/წ 9 აპრილის დადგენილება „კავკასიის ქალაქი“-ს რედაქციის ორგანიზაციის შესახებ.

მთავარი კომიტეტის თავმჯდომარემ **ნ. ზ. ელიავამ** დამატებით საინფორმაციო მოხსენება წარუდგინა კომიტეტს ჟურნალის მდგომარეობის შესახებ; აღნიშნა, რომ ეხლა სწარმოებს მოლაპარაკება ერობათა ცენტრალურ ბიუროსთან, რათა მათ მიიღონ მონიჭილება ჟურნალის გამოცემაში, თუ შეთანხმება არ მოხდა, შესაძლებელია ჟურნალი სრულებით დაიკეტოს, ვინაიდან ახალი ტარიფი ასოთამწყობებისა და სხვა ხარჯები დიდს დეფიციტს იწვევს.

**დადგენილ იქმნა:** რედაქციის შტატი შესდგეს სამ კაცისაგან; ერთი მათგანი უნდა იყოს მდივანი, ორი—თანამშრომელი, ერთი რუსულის და ერთი ქართული განყოფილების აღმასრულებელი ბიუროს დანარჩენი დადგენილებანი დამტკიცდეს.

სხვა კითხვების განხილვა ექვსი მაისის სხდომისათვის გადაიდოს.

### 1919 წლის 6 მაისის სხდომის ჟურნალი № 6.

თავმჯდომარეობდა: მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე **ნ. ზ. ელიავა**.  
სხდომას დაესწრნენ: თავ. ამხ. მ. ი. რუსია, კომიტეტის წევრნი: ა. რ. ჯაჯანაშვილი, პ. კ. ჯაფარიძე, კ. გოგუა, კორძაია, ს. გ. მდივანი, მურვანა-

ნიძე, ნ. ი. ფალილევი, ბ. ნ. შარაშენიძე, ბ. გ. ჩხიკვიშვილი, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე პ. ყიფიანი, წარმომადგენელი ქ. ბორჯომისა გოგუა და ბორჯომის ქალაქის თავი ხუნდაძე.

კომიტეტის მდივანი ე. ა. მადლისონი.

სხდომის გახსნისათანავე სიტყვა აიღო ქალ. ბორჯომის წარმომადგენელმა გოგუამ, რომელმაც კრებას გააცნო ქალაქის ფინანსიური და უფლებრივი მდგომარეობა. აღნიშნა რომ მიწად-მოქმედების სამინისტროს განზრახვა აქვს ქ. ბორჯომი საკურორტო ადგილად გადააქციოს და თვითმართველობის ნაცვლად საკურორტო მმართველობა შემოიღოს. ბორჯომის ქალაქის მოურავმა ხუნდაძემ დამატებითი ცნობები წარუდგინა კომიტეტს მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ.

მოხსენებამ გამოიწვია კამათი, რომელშიც მიიღეს მონაწილეობა მთავარი კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ზ. ელიავამ, თავ: ამხ. მ. ი. რუსიამ: კომ. წევრებმა: პ. კ. ჯაფარიძემ, ს. გ. მდივანმა, გ. მურვანიძემ. მ. ი. რუსიას, მურვანიძეს და მდივანს საჭიროდ მიაჩნიათ, აღმასრულებელ ბიუროს დაევალოს განსაკუთრებული მოხსენების შემუშავება კომიტეტის შემდეგ სხდომაზე წარსადგენად. მათ აღნიშნეს, აგრეთვე, რომ ბორჯომისთანა მდგომარეობაში არიან სხვა ახალად აღმოცენებული ქალაქებიც როგორც არიან მაგალითად: კოჯორი, ლანჩხუთი, გაგრა და სხვა.

მთავარი კომიტეტის თავმჯდომარეს ნ. ზ. ელიავას და კომ. წევრს პ. კ. ჯაფარიძეს შესაძლოდ მიაჩნიათ, ქალ. ბორჯომის საკითხი ამ სხდომაზევე იქმნეს განხილული.

კამათის შეწყვეტის შემდეგ კომ. წევრს ს. გ. მდივანს შემოაქვს წინადადება, მიღებულ იქმნას ზომები ქალაქის ფინანსიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად რადგანაც ქალაქების მოწყობასა და გაუმჯობესებას, სრულიად დამოუკიდებლად იმისა, რანაირი მმართველობა იქნება იქ დაწესებული, უდიდესი მნიშვნელობა აქვს თვით სახელმწიფოსთვისაც.

**დადგენილ იქმნა:** 1. დაევალოს აღმასრულებელ ბიუროს შეიმუშაოს საკითხი კურორტების და პატარა ქალაქების შესახებ და წარუდგინოს მოხსენება მთავარ კომიტეტს შემდეგ სხდომაზე; 2. მიღებულ იქმნას ზომები ქ. ბორჯომის ფინანსიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; გაიმართოს სათანადო მოლაპარაკება მიწად-მოქმედების და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან.

შემდეგ კრებამ მოისმინა ქალაქთა მეორე ყრილობის კერძო თათბარის დადგენილებანი სავაქრო ოპერაციებსა და გაცემული საქონლის ანგარიშების გასწორების შესახებ. მომხსენებელმა ნ. ი. ფალილეევმა აღნიშნა, ქალაქები ძალიან დავალიანებულნი არიან, ფულს სუსტად იხდიან, რასაც შეიძლება ყოველივე ოპერაციების წარმოებას ძირი, გამოუთხაროს, რადგანაც თვით ქალაქთა კავშირი ყოველნაირ საქონელს ნაღდ ფულზე ყიდულობს. მთავარმა ბუნხალტერმა საგსაგანსკიმ კომიტეტს მოახსენა ცნო-

ბები ზოგიერთი ქალაქების (ოზურგეთის, ფოთის, ქუთაისის) დავალიანების შესახებ.

კომიტეტის წევრმა **გ. მურვანიძემ** და **ა. მ. კორძაიამ** ბუხპალტერის ცნობების გამო თავიანთი განმარტებანი წარმოადგინეს. **გ. მურვანიძემ** აღნიშნა, რომ ერთერთი მიზეზთაგანი ვალის გადახდის დაგვიანებისა არის ანგარეშების ღრობზე მიუღებლობა.

კომ. წევრს **ს. გ. მდივანს** სასურველად მიაჩნია მიღებულ და მოწონებულ იქმნას კერძო თათბირის დადგენილებანი, ამასთანავე ენერგიული ზომები უნდა იქმნას მიღებული, რომ ქალაქებმა ღროზე გადაიხადონ.

კომ. წევრმა **ნ. ი. ფალილეევმა** განაცხადა, რომ მომავალში ანგარიშები „ნაკლანობთან“ ერთად გაიგზავნება პირდაპირ ცენტრალური საწყობიდან და არა საანგარიშო განყოფილებიდან, რომელიც ქალაქებს მხოლოდ ანგარიშების პირს დაუგზავნის.

**დადგენილ იქმნა:** 1. კერძო თათბირის მიერ მიღებული დადგენილებანი დამტკიცდეს იმ პირობით რომ, თუ რომელიმე ქალაქი ღროზე არ გადაიხდის ვალს, მას შემდეგში საქონელი მიეცეს მხოლოდ ნაღდ ფულზე; 2. წინადადება მიეცეს სამეურნეო და საანგარიშო განყოფილებებს მალე განახორციელონ ის წესი ანგარიშების გაგზავნისა, რომელიც კომ. წევრმა **ნ. ი. ფალილეევმა** წამოაყენა.

შემდეგ კომიტეტმა მოისმინა მდივნის **ე. ა. მადლისონის** მოხსენება აგრარული საანკეტო ფურცლების შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღეს: მთავ. კომ. თავმჯდომარემ **ნ. ზ. ელიავამ**, თავმჯდომარის ამხ. რუსიამ და კომ. წევრებმა **პ. კ. ჯაფარიძემ**, **ბ. ნ. შარაშენიძემ**, **ა. რ. ჯაჯანაშვილმა**, **ა. კორძაიამ**, **ს. გ. მდივანმა** და **გ. მურვანიძემ**.

კომ. წევრმა **ა. რ. ჯაჯანაშვილმა** განაცხადა, ჩვენ რომ აგრარული საკითხის პრინციპიალური გადაწყვეტა გვიხდებოდეს, მაშინ რა თქმა უნდა, მომხსენებლის აზრს უნდა დავთანხმებულიყავით; მაგრამ მიწად-მოქმედების სამინისტრომ უკვე შეიმუშავა სათანადო კანონ-პროექტი, აგრარული რეფორმის განყოფილებამაც ამის და მიხედვით შეიმუშავა სააკენტო ფურცელი; ამიტომ ჩვენც მხოლოდ ამ საკითხზე უნდა გავცეთ პასუხი.

თავმჯდომარის ამხ. **მ. ი. რუსია** კომიტეტის წევრნი **პ. კ. ჯაფარიძე**, **ა. ბ. კორძაია** და **გ. მურვანიძე** იმ აზრს იცავენ, რომ მომხსენებლის აზრი მიწების მუნიციპალიზაციისა და ჩამორთმეული მიწების იჯარით გადაცემისა ძველ მესაკუთრეებზე დიდს წინააღმდეგობას გამოიწვევს ადგილობრივ და კერძო ინიციატივით გამოწვეულ აღმშენებლობასაც ხელს შეუშლის.

მთავ კომ. თავმჯდომარემ **ნ. ზ. ელიავამ** აღნიშნა, არავითარი საჭიროება არ მოითხოვს დავშორდეთ იმ თვალსაზრის, რომელიც გატარებულია მომქმედ აგრარულ კანონში.

კამათის შეწყვეტის შემდეგ მთავარი კომ. თავმჯდომარემ მუხლობრივ

წაიკითხა საანკეტო ფურცლებში აღნიშნული კითხვები. ამ კითხვების გამო კომიტეტმა გამოიტანა შემდეგი დადგენილებანი: აგრარული რეფორმა უნდა გავრცელდეს ქალაქებში მდებარე კერძო მესაკუთრეების, იურიდიული პიროვნებათა, სამონასტრო და საეკლესიო, როგორც დასახლებულ, ისე დაუსახლებელ მიწებზე, ბაღებზე და სხ. დატოვების ნორმა უნდა იყოს სხვა და სხვანაირი, ქალაქები თავისი მნიშვნელობით და ხასიათით უნდა განაწილდეს სამ კატეგორიად. კატეგორიის გარეშე რჩება მხოლოდ ქალ. ტფილისი. პირველი კატეგორიის ქალაქებს უნდა მიეწეროს ისეთი ქალაქებმ, როგორც არის ქუთაისი, ფოთი და სოხუმი. მეორე კატეგორიის მიეწერება, თელავი, ოზურგეთი, გორი ე. ი. ისეთი ქალაქები, რომელთაც ქალაქებსა და სოფლებსა შორის საშვალო ადგილი უკავიათ. მესამე კატეგორიის მიეწერება ისეთი ქალაქები, რომელნიც ეხლახან გადაკეთდნენ ქალაქებად და ქალაქების მხოლოდ ჩანასახს წარმოადგენენ. პირველი კატეგორიის ქალაქებს დასატოვებელის ნორმა უნდა იყოს  $\frac{1}{2}$  დესეტინა, მეორე კატეგორიის—1 დეს. და მესამე კატეგორიის— $1\frac{1}{2}$  დესეტინა. სახლებით გაშენებულ ნაკრებზე უნდა იქმნას მიღებული ამ ნორმის ნახევარი. ქალაქში მიღებული ნორმა მაზრის ნორმად უნდა ჩაეთვალოს პატრონს. ზედმეტი მიწი პატრონს უნდა ჩამოერთვას უსასყიდლოდ. თუ ზედმეტი ნორმაზე სახლები ან საშენებელი დაწესებულებანია, იგი იჯარით ძველ პატრონს უნდა მიეცეს. ძველი ქალაქების ტერიტორიად უნდა ჩაითვალოს მოსახლეების მთელი სივრცე. ახალი ქალაქების საზღვრები უნდა გამორკვეულ იქმნას კომისიის მიერ, რომელიც შესდგება ქალაქთა თვითმართველობების, ერობათა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთაგან. ამისათვის საკმარისია 6 თვე. ჩამორთმეული მიწები ქალ. თვითმართველობებს საკუთრებად გადადის, იმ საკითხის გამორკვევა თუ რა სახით ისარგებლებს ამ მიწებით ქალაქები, კომიტეტს ნაადრევათ მიაჩნია.

კომ. წევრმა ს. გ. მდივანმა შემოიტანა წინადადება, რომ ქალაქების საზღვრები გამორკვეულ იქმნას აგრარული რეფორმის განხორციელებამდე.

**დადგენილ იქმნა:** წინადადება მიღებულ იქმნას და ეცნობოს რესპუბლიკის მთავრობას.

დღის წესრიგში აღნიშნული დანარჩენი საკითხების განხილვა შემდეგი სხდომისთვის გადაიდოს.

### 1919 წ. 7 მაისის სხდომის უფრნალი № 7.

თავმჯდომარეობდნენ: მთავარი კომ. თავმჯდომარე ნ. ზ. ელიავა და ზავ. ამხანაგი მ. ი. რუსია.

სხდომას დაესწრნენ: კომ. წევრები: ა. რ. ჯაჯანაშვილი, პ. კ. ჯაფარიძე, კ. ე. ანდრონიკაშვილი, კ. გოგუა, პ. ბ. კორძაია, ს. ზ. მდივანი, გ. მუ-

რვანიძე დავ. ნ. შარაშენიძე, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის. ამბა-  
ნავი ა. ა. პაპავა.

მთავარი კომიტეტის მდივანი ე. ა. მადდისონი.

სხდომის გახსნისთანავე მთავარი კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ზ. ელიავამ განაცხადა, რომ ამიერ-კავკასიის კომისარიატის 1917 წლის 24 ნოემბრის დადგენილების თანახმად, რაც შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს მიერ იყო დადასტურებული,—ქალაქის ტერიტორიაზე სადგომების, სავაჭრო-სამრეწველოების და სხვა დაწესებულებების რეკვიზიციის უფლება ეძლევა საქართველოს რესპუბლიკის 4 ქალაქს: ტფილისს, ქუთაისს, ფოთს და სუხუმიას; ამ უფლებას-კი საჭიროებს სხვა ქალაქებიც, ამიტომ, მისი აზრით, აუცილებელია აღძრულ იქმნეს სათანადო შუამდგომლობა მთავრობის წინაშე.

კომ. წევრის ს. გ. მდივანის აზრით, ასეთი უფლება უნდა მიეცეს რესპუბლიკის პატარა ქალაქებსაც, მაგრამ ამასთანავე ერთად საჭიროდ მიაჩნია ქალაქები დაექვემდებარნენ კონტროლს ქალაქთა კავშირისას, რომელსაც ერთგვარი ძალა უფლება უნდა მიენიჭოს.

კომ. წევრები პ. კ. ჯავახიძე და ა. ბ. კორძია მომხრენი არიან ქალაქთა ქავშირს ასეთი უფლება მიენიჭოს.

ამ წინადადების კენჭის ყრამდე მთავარი კომ. თავმჯდომარემ ნ. ზ. ელიავამ განმარტა, რომ ასეთი კონტროლი არსებობს ადმინისტრაციული განყოფილების სახით, რომელსაც აქვს მინიჭებული უფლება ქალაქთა თვითმართველობების მოქმედების გასაჩივრებისა.

**დადგენილ იქმნა:** აღიძრას შუამდგომლობა.

მესხეთ-ჯავახეთში ომით დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტის შუამდგომლობის გამო დადგენილ იქმნა: მიეცეს აღნიშნულ კომიტეტს ათიათასი მანეთი (10.000), აღმასრულებელ ბიუროს განკარგულებაში გადაიდოს 100.000 მან. ქ. ქ. ახალქალაქის და ახალციხის მცხოვრებთათვის მატერიალური დახმარების აღმოსაჩენად.

შემდეგ კომიტეტმა მოისმინა მოხსენება ქალაქთა საწევრო გადასახადის შესახებ; მთავარი კომ. თავმჯდომარემ ნ. ზ. ელიავამ აღნიშნა, რომ საწევრო გადასახადი ქალაქთაგან არც წარსულსა და არც მიმდინარე წლებში არ შემოსულა.

**დადგენილ იქმნა:** წინადადება მიეცეს ქალაქებს: ა) შემოიტანონ მათზე დარჩენილ საწევრო გადასახადი შემდეგის წესით: წარსული წლის გადასახადი მთლიანად შემოიტანონ არა უგვიანეს პირველი ივლისისა, მიმდინარე წლის კი—არა უგვიანეს პირველი ენკენისთვის; ჩვეულებრივი ხარჯთ-ალრიცხვის  $\frac{1}{4}$  % გადახდილი უნდა იქმნას ეხლავე, დანარჩენი-კი მათ ვალად ჩაირიცხოს; ბ) წარმოდგენილ იქმნას როგორც წარსული, ისე მიმდინარე წლის ხარჯთ-ალრიცხვა.

მთავარი კომ. თავმჯდომარემ ნ. ზ. ელიავამ კომიტეტში შეიტანა წი-



ნადადება, რომ ისეთი სახელოსნოები და ქარხნები, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ქვეყნისთვის და რომელნიც ეხლა, ამა თუ იმ მიზეზების გამო უმოქმედოდ არიან, საექსპლოატაციოთ ქალაქთა კავშირს გადაეცეს.

ამ საკითხის გამო აღძრულ მსჯელობაში მონაწილეობა მიიღეს თავმჯდომარის ამხ. მ. ი. რუსიამ და კომ. წევრებმა ბ. ნ. შარაშენიძემ და მურვანიძემ.

**დადგენილ იქმნა:** აღძრულ იქმნას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა ადგილობრივ თვითმართველობებს გადაეცეს საექსპლოატაციოდ ისეთი სახელოსნოები და ქარხნები, რომელთა პატრონებიც უარს აცხადებენ მათს ამუშავებაზე.

კომ. წევრმა გ. მურვანიძემ შეიტანა კომიტეტში შეკითხვა—იციის თუ არა აღმასრულებელმა ბიურომ, რომ საქართველოში 200 ფუთი პარკი კონტრაბანტის გზით თანდათანობით იზიდება, და რა ზომებია მიღებული ბიუროს მიერ, რომ ეს საქონელი ქალაქთა კავშირმა შეიძინოს.

მთავარი კომ. თავმჯდომარემ ნ. ზ. ელიავამ განაცხადა, რომ ეს აღმასრულებელმა ბიურომ იცის და სათანადო ზომებიც მიღებულია. პარკი კი ბიურომ ჯერ-ჯერობით, ნაღდი ფულის უქონლობის გამო, ვერ შეიძინა.

კომ. წევრმა ნ. ი. ფალიევმა განაცხადა, რომ სავაჭრო ოპერაციების გასაფართოებლად, საჭიროა მივმართოთ სესხს საკრედიტო დაწესებულებებში; ამასთანავე ეხლად საჭიროა აღძრულ იქმნას შუამდგომლობა, რომ საკრედიტო საზოგადოებებს ქალაქთა კავშირთან აქტიური ოპერაციების დახმარების უფლება მიენიჭოთ.

**დადგენილ იქმნა:** დადასტურდეს ამის გამო უკვე არსებული დადგენილებანი.

ამის შემდეგ კომიტეტმა მოისმინა ნ. ზ. ელიავას მოხსენება, ქალაქთა კავშირის მალაზიის შესახებ.

მსჯელობაში მონაწილეობა მიიღეს თავმჯდომარის ამხ. მ. ი. რუსიამ და კომ. წევრებმა: პ. კ. ჯაფარიძემ, გ. მურვანიძემ; ნ. ი. ფალიევმა და ბ. ნ. შარაშენიძემ. თავმ. ამხ. მ. ი. რუსიამ და პ. კ. ჯაფარიძემ სასურველად დასასარგებლოდ სცნეს, აღმასრულებელმა ბიურომ თავის ხელში აიღოს მალაზია, რომელიც, როგორც გამოცდილობა გვიჩვენებს, დიდს მოგებას იძლევა. კომ. წევრები გ. მურვანიძე და ბ. ნ. შარაშენიძე-კი ამტკიცებენ, რომ ქალაქთა კავშირმა უარი არ უნდა სთქვას იმ სისტემაზე, რომელმაც თავისი თავი სავსებით გაამართლა და რომელმაც სარგებლობა მოუტანა ქალაქთა კავშირს. საჭიროდ მიაჩნიათ მალაზიაში მოისპოს ბითუმად ვაჭრობა, რაიც სავსებით უნდა იქმნას გადატანილი ცენტრალურ საწყობში; სასურველია აგრეთვე ქალაქთა კავშირის განკარგულებაში მყოფ საქონლის, მცხოვრებთა შორის, თანასწორად გასანაწილებლად ფილიალური განყოფილება გაიხსნას ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში.

კომ. წევრი ნ. ი. ფალილევი ამ უკანასკნელთა თვალსაზრის იზიარებს და რადგანაც პირველთა და მეორეთა მოსაზრებებს შორის არსებითს განსხვავებას ვერა ხედავს, სასურველად მიიჩნია ბითუმად ვაჭრობა მალაზიაში მოისპოს. ის, პირნი, რომელნიც ხელშეკრულებით მალაზიას განაგებენ ჩაირიცხნენ ქალ. კავშირის თანამშრომლებად იმ განსხვავებით-კი, რომ ჯილდო დაწესებულ %-ის სახით მიეცეთ. ასეთს პირობებში მალაზია შეიძლება 3, 2 ან 1 პირს გადაეცეს, რაც თავის თავად ქალაქთა კავშირის შემოსავალს უფრო გაზრდის.

**დადგენილ იქმნა:** 1) გაიხსნას განყოფილებანი როგორც ტფილისში, ისე სხვა ქალაქებში, სადაც ქალაქთა თვითმართველობებს თავიანთი მალაზიები არ აქვთ; 2) მოისპოს ბითუმად ვაჭრობა მალაზიაში; ასეთი ვაჭრობა სწარმოებდეს ცენტრალურ საწყობსა და საკუთარ ბითუმად სავაჭრო მალაზიებში, თუ ასეთი მალაზიების გახსნას კომიტეტი საჭიროდ დაინახავს; 3) მალაზიის მოსამსახურეებს, ჯამაგირ მაგიერ ჯილდო პროცენტების სახით მიეცეთ; 4) მოეთხოვოთ იმ პირთ, რომელნიც ესლა კომიტეტის მალაზიას განაგებენ, შემოიტანონ წერილობითი განცხადება, რომ ზემოხსენებული პირობების თანახმანი არიან; თუ არ დასთანახმდებიან მალაზია ჩამოერთვათ; წინააღმდეგ შემთხვევაში-კი წარედგინოთ პირობები, თანახმად კომიტეტის წევრის ნ. ი. ფალილევის მოხსენებისა.

უფროსი კონტროლიორის მოვალაობის აღმასრულებელმა კ. ს. მესხმა კომიტეტს მოახსენა დებულება ქალაქთა კავშირის საკონტროლო განყოფილებისა.

**დადგენილ იქმნა:** 1) საკონტროლო განყოფილება არის პირდაპირ მთავარი კომიტეტისაგან დამოკიდებული განყოფილება ამის და მიხედვით შეიცვალოს შინაარსი და რედაქცია დებულების ზოგიერთი პარაგრაფისა: 1-ლ §-ში ამოიშალოს სიტყვები: „Подчиненных Исполнительному Бюро“; იმავე §-ის ბოლო კი სიტყვებიდან „Административно-хозяйственной деятельности“ - უნდი იკითხებოდეს ასე: Отделовъ Главнаго Комитета, подвѣдомственныхъ ему лицъ и учреждений,“ მეორე § შეიცვალოს შემდეგ ნაირად: „Контрольный Отдѣлъ, подчиняясь непосредственно Главному Комитету, находится въ вѣдѣніи его председателя“; §§-ები 3 და 4 შეერთდეს და განიმარტოს შემდეგ ნაირად: „Контрольнымъ Отдѣломъ завѣдываетъ Главный Контролеръ. Замѣстителемъ его является его помощникъ. Какъ Главный Контролеръ, такъ и его помощникъ избираются Главнымъ Комитетомъ“; მეხუთე § (პროექტი) განიმარტოს ასე: „Штаты Контрольнаго Отдѣла утверждаются Главнымъ Комитетомъ“; მეექვსე § (პროექტი) განიმარტოს ასე: „Контролеры утверждаются въ должности Главнымъ Комитетомъ“; მეშვიდე § (პროექტი) გამოაკლდეს; მერვე § (პროექტი) შეიცვალოს ასე „Перениска съ должностными лицами,

отдѣлами и учреждениями, подвѣдомственными Главному Комитету, Контрольный Отдѣлъ ведетъ непосредственно. Остальная переписка проходить за подписями председателя Главнаго Комитета и Главнаго Контролера“, მეთერთმეტე § (პროექტი) გამოაკლდეს სიტყვა „исключительно только;“ მეთორმეტე §-ში (პროექტი) ამოიშალოს. მეცამეტე §-ში (პროექტი) სიტყვა „докладывает“ შეიცვალოს სიტყვით „сообщает“; მეთოთხმეტე §-ში სიტყვა „контрольно“ სიტყვა „сѣдственнаго“-ს წინ სიტყვა „характера“ შემდეგ დაემატოს „и также Председателя Ревизионной Комиссии“; მეცხრამეტე §-ის მეორე შენიშვნაში გამოაკლდეს სიტყვა „не менѣе какъ за два дня“; 2) საკანტროლო განყოფილების დებულება ზემოხსენებული შესწორებებით დამტკიცდეს.

შემდეგ მოხსენებული იქმნა სატეხნიკო განყოფილების მოხსენება სატეხნიკო ქონების საწყობის მოწყობის შესახებ.

მსჯელობაში მონაწილეობა მიიღეს: მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ზ. ელიავამ, თავმჯდომარის ამხ. მ. ი. რუსიამ, კომიტეტის წევრებმა: პ. კ. ჯაფარიძემ, გ. მურვანიძემ, ნ. ი. ფალილეევმა, ბ. ნ. შერაშენიძემ, სატეხნიკო განყოფილების გამგემ ინჟინერმა პ. ა. ზურაბიანცმა და კომიტეტის მდივანმა ე. ა. მაღდისონმა.

**დადგენილ იქმნა:** ქალაქების მიმდინარე ტეხნიკური საჭიროებენი ქალაქთა კავშირის მოწმობით, პონდოვეის საწყობიდან დაკმაყოფილდეს. ქალაქებმა თავიანთ-თავზე უნდა მიიღოს პასუხისმგებლობა იმ თანხისა, რომლის დამიტებაც ინჟინერი პონდოვეის სასარგებლოდ დასჭირდებათ. 2) განცხადებათა შისაღებად ვადა ერთი თვე დაინიშნოს და 3) რაც ამ ვადის შემდეგ ქონება დარჩება, ქალაქთა კავშირის საწყობში იქმნას გადატანილი; ასეთი საწყობის ორგანიზაცია აუცილებელ საჭიროებად იქმნას აღიარებული.

დარჩენილი საკითხების განხილვა გადაიდოს 8 მაისის სხდომისათვის, რომელიც დანიშნოს დილის 9 საათზე.

#### 1919 წ. 8 მაისის სხდომის უყურნალო № 8.

თავმჯდომარეობდნენ: მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ზ. ელიავა, თავმჯდომარის ამხანაგი მ. ი. რუსია, და კომიტეტის წევრი ა. ბ. კორძაია.

სხდომას დაესწრნენ: კომიტეტის წევრები: კ. გოგუა, ა. რ. ჯაჯანაშვილი, პ. კ. ჯაფარიძე, გ. მურვანიძე, ბ. ნ. შარაშენიძე და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ა. ა. პაპავა.

კომიტეტის მდივანი ე. ა. მაღდისონი.

სხდომის გახსნისთანავე მოსმენილ იქმნა საკანტროლო განყოფილების

შტატის პროექტი. უფროს კონტროლიორის მოვალ. აღ. კ. ს. მესხმა კომიტეტს პროექტის სიტყვიერი განმარტება მოახსენა.

მთავარი კომიტეტის თავმჯდომარეს **ნ. ზ. ელიავას** სასურველად მიაჩნია კონტროლიორთა შტატი 7 კაცისაგან შესდგებოდეს, მაგრამ თავისუფალი ადგილზე კონტროლიორები მოწვეულ უნდა იქმნან იმის და მიხედვით, თუ რამდენად მოითხოვს ამას საჭიროება.

თავმჯდომარის ამხ. მ. ი. რუსია არ არის წინააღმდეგი ასეთი შტატისა, მაგრამ საქმისმწარმოებელის ადგილის გაუქმებას კი მოითხოვს. კომიტეტის წევრი **პ. კ. ჯაფარიძე**, ემხრობა მ. ი. რუსიას. უფროსი კონტროლიორის მოვალ. აღ. კ. ს. მესხმა განმარტა, რა მოვალეობებს ასრულებს საქმისმწარმოებელი და რეგისტრატორი.

კომიტეტის წევრს **გ. მურვანიძეს** საჭიროდ მიაჩნია საკონტროლო განყოფილების კანცელარიის საკითხი ღიად დარჩეს და განხილულ იქმნას მთავარ კომიტეტის შემდეგ მორიგ სხდომაზე, ვინაიდან შესაძლებელია, საქმის გაფართოებამ დაგვიმტკიცა, რომ ასეთი გაუქმება მიზანშეწონილი არ იყო, ან ყოველ შემთხვევაში, ნაადრევი იყო.

**დადგენილ იქმნა:** 1) კონტროლიორების შტატი 7 კაცისაგან, რომელთა რიცხვში შევა უფროსი კონტროლიორი და მისი თანაშემწე, დამტკიცებულ იქმნას; არჩეულ იქმნას უფროსი კონტროლიორი და მისი თანაშემწე, მხოლოდ ორ ახალ ადგილზე თანამდებობის პირის მოწვევა აღმასრულებელ ბიუროს მიენდოს. 2) კანცელარიის საკითხი განხილულ იქმნას მთავარი კომიტეტის უახლოვეს მორიგ სხდომაზე.

ამის შემდეგ მოსმენილ იქმნა საექიმო-სასანიტარო, ბაქტერიოლოგიური განყოფილების, აფთიაქის საწყობის, ამბულატორიის, ყურ. „კავკასიის ქალაქი“-ს და მთავარ კომიტეტის სამუნიციპალო ბიბლიოთეკის ხარჯთაღრიცხვა.

საექიმო-სასანიტარო განყოფილება ხარჯთაღრიცხვას კამაფი არ გამოუწვევია.

ბაქტერიოლოგიური განყოფილების ხარჯთაღრიცხვის შესახებ თავიანთი აზრი გამოსთქვეს კომიტეტის წევრმა **ბ. ნ. შარაშენიძემ**, **ხ. მურვანიძემ**, მთავარი კომიტეტის თავმჯდომარემ **ნ. ელიავამ** და ექიმმა **ელიავამ**. კომიტეტის წევრი **ბ. ნ. შარაშენიძე**, იმ აზრისაა, რომ ქალაქთა კავშირის ყველა დაწესებულებანი შემოსავლიანი უნდა იყოს და კომერციულ პრინციპზე უნდა იყოს აშენებული: ყოველივე ქველმოქმედობა უნდა გაუქმდეს, ვინაიდან ეს ხელს უშლის სასარგებლო დაუწესებლელბათა გაფართოებას. ამიტომ ყველა ის ხარჯი, რომელიც ქალაქთა კავშირის პროვინციის დაწესებულებებზე მიდის, თვით პროვინციის ქალაქების ხარჯთაღრიცხვაში უნდა იყოს შეტანილი. თუ რომელიმე ქალაქი უარს იტყვის ამ განყოფილებათა შენახვაზე, მაშინ დაწესებულებანი გადატანილ უნდა იქმნას იმ ქალაქში, რომელიც ხარჯს

იკისრებს. ცენტრალური განყოფილება-კი ტფილისში აუცილებლად უნდა საერთოდ ქალაქებისათვისა და ერობებისათვის მოეწყოს.

კომ. წევრი **გ. მურვანიძე** ბ-ნი ბ. ნ. შარაშენიძის აზრს არ ეთანხმება და აღნიშნავს, განყოფილების შენახვა ქალაქებს რომ დაეკისროთ, ამით მხოლოდ დაწესებულებათა ლიკვიდაციას შეუწყობთ ხელსაო. ქალაქების უმწეო ფინანსიური მდგომარეობა ყველასათვის ცხადია. ამიტომ, რაც უნდა სამარ-თლიანი იყვეს ბ-ნი შარაშენიძის აზრი, იგი მაინც უნდა უარვეყოთ.

მთავარი კომიტეტის თავმჯდომარემ **ნ. ზ. ელიავამ** აღნიშნა საზარალო დაწესებულებებს აღმასრულებელი ბიურო ყოველთვის ჰკეტავდაო. რაიცა შეეხება იმ ბაქტერიოლოგიურ განყოფილებებს, რომელნიც პროვინციში არიან, აუცილებელია კომიტეტის წევრს ბ. ნ. შარაშენიძეს, დავეთანხმებით. რაც შეეხება ცენტრალურ განყოფილებების გაერთიანებას ტფილისში, უნდა აღვნიშნო, რომ ასეთი გაერთიანებას ყოველთვის სასურველი შედეგი არ მოყვება ხოლმე.

**ექ. ელიავას** საწინააღმდეგო არაფერი აქვს, რომ ხარჯთ-აღრიცხვის მხრით პროვინციისა და ცენტრის დაწესებულებანი განისაზღვროს ერთი მეორისაგან, მაგრამ მათ შორის ფუნქციონალური კავშირი მაინც უნდა დარჩეს, რადგანაც უამისოდ პროვინციის განყოფილებანი სულს დაღვევენ. რაიცა შეეხება ზემოხსენებულ განყოფილებათა შემოსავლიანობას, ექიმ ელიავას იმედი აქვს, რომ მახლობელ ექვს თვეში ყოველივე მათგანი განსაზღვრულ შემოსავალს მოგვცემენ. ეს დაწესებულებანი განსაკუთრებულ პირობებში გაჩნდნენ და მომენტის მიერ დაკავშირებულ მიზნებს ემსახურებიან.

აფთიაქის საწყობის ხარჯთ-აღრიცხვის გამო მსჯელობაში მონაწილეობა მიიღეს: **ნ. ზ. ელიავამ**, **პ. კ. ჯაფარიძემ**, **გ. მურვანიძემ**, **ა. რ. ჯაჯანაშვილმა**, **ბ. ნ. შარაშენიძემ**, **ნ. ი. ფალილეევმა** და საწყობის გამგის მოვალ. **ალ. ცხომელიძემ**.

კომ. წევრმა **ბ. ნ. შარაშენიძემ** ყურადღება მიაქცია აფთიაქის საწყობის შტატის შენახვით გამოწვეულ ხარჯს და აღნიშნა რომ, თუ აღმასრულებელი ბიურო თითონ არ შეეცდება მედიკამენტების შექმნასა და საწყობის გამდიდრებას, უკეთესი იქნება ამა თუ იმ სახით საწყობის სრული რეალიზაცია; მაშინ დიდი შტატის შენახვაც არ დაგვეკირდებოდა. რადგანაც ასეთი რეალიზაცია სასურველი არ არის, კომიტეტმა ისევ ეხლავე უნდა მიიღოს ზომები მედიკამენტების შესაძენად.

კომ. წევრი **ნ. ი. ფალილევი** ბ. ნ. შარაშენიძის აზრს იზიარებს. მას სასურველად მიაჩნია, ნაწილი აფთიაქის საწყობის საქონლისა შენახულ იქმნას, დანარჩენი საქონელი-კი გატანილ იქმნეს ბაზარზე. აუცილებელია აგრათვე საქონლის გაცვლა-გამოცვლას მივმართოთ, მაგალითად, ბაქოს სჭირია ის საქონელი, რომელიც აფთიაქის საწყობში ბლომად არის; აქ კი, სამაგიეროდ არ იშოვება ნავტალინი, ვახელინი და სხ. ამ ოპერაციების წარ-

მოგებისათვის საჭიროა საექიმო-სასანიტარო განყოფილების შტატის მიემატოს კიდევ ერთი კაცი, სპეციალისტი კომერსანტი. სასარგებლო იქნება აგრეთვე, თუ ქალაქთა კავშირი ტფილისში აფთიაქის მაღაზიას გახსნის.

აფთიაქის საწყობის გამგის მოვალ. ალ. ცხომელიძე აღნიშნავს—აფთიაქის საწყობის მდგომარეობა ისე ცუდი ათაა, როგორც ეს კომ. წევრს ბ. ნ. შარაშენიძეს წარმოუდგენიაო. თუ საწყობი ჯერჯერობით თითონ ასე ყიდულობს მედიკამენტებს, სამაგიეროდ საქონლის გაცვლა-გამოცვლის გზას უკვე მიემართეთ: ამნაირ გზით არის, მაგალითად, შეძენილი ქინაქინა, რომლის საბაზრო ფასი ხუთასი ათასი მანეთია.

კომ. წევრი პ. კ. ჯაფარიძე ასეთი ოპერაციების წინააღმდეგია; იგი აღნიშნავს; ნაწილი საქონლისა უნდა შენახულ იქმნას, გასასყიდად გადადებული საქონელის რეალიზაციისათვის—კი უპირატევობა ქალაქებს უნდა მიეცესო.

ამბულატორიის ხარჯთ-აღრიცხვას კამათი არ გამოუწვევია; მხოლოდ მრავარი კომიტეტის თავმჯდომარემ, ნ. ზ. ელიავამ აღნიშნა, რომ ამ ხარჯთ-აღრიცხვაში მოულოდნელი ხარჯისათვის უნდა მიემატოს კიდევ 21.000 მანეთი.

არ გამოუწვევია არავითარი კამათი არც ჟურნალ „კავკასიის ქალაქი“-ს რედაქციისა და ბიბლიოთეკის ხარჯთ-აღრიცხვას.

კომ. წევრი გ. მურვანიძე აღნიშნავს—მთავარი კომიტეტის ხარჯთ-აღრიცხვის წარდგენილ პროექტის დანარჩენი ნაწილის დეტალურ განხილვას მოითხოვს, რაც მხოლოდ კომიტეტის შემდეგ მორიგ სხდომაზე შეიძლება მოხდეს; მანამდის კი იგი გადაეცეს აღმასრულებელ ბიუროს სახელმძღვანელოდო.

